ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## იფეთქებს თუ არა საქართველოში მორიგი ეთნიკური კონფლიქტი გვ.5

ცხინვალში ოსურ-სომხურ მეგობრობას სომხურ ჯვარს დაუდგამენ

19 თებერვლიდან
ჯონატან სვიფტი
გულივერის მოგზაურობა
„მე მიყვარს კითხვა“



ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

ხუთშაბათი, 21 თებერვალი, 2019 №43 (7898) ფასი: 60 თეთრი

# ბესელია დღეს გადაწყვეტს, დატოვებს თუ არა უმრავლესობას



გვ.3

ვის გაიყოლებს თან ამბოხებული დეპუტატი

## შსს ზვიად კუპრავას პანღურის ამორტყმის გამო ედავება გვ.3

„მოვითხოვ, სასწრაფოდ ჩატარდეს ირაკლი ზაქარეიშვილის ხერხემლის ქვედა ნაწილის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა“





## „ივანიშვილს არც ხაზარაძის ჩაძირვა უნდა და არც ანაკლიის პროექტის“ გვ.6

პეტრე მამრაძე: „ხაზარაძის წინააღმდეგ ხელისუფლების კლანები მოქმედებენ“



## კახა კოჟორიძე: „მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა ძალიან ცუდია“ გვ.4

### სამართალი გვ.7

მოკლულ ზვიად ჯაფარიძეს კონფლიქტი ჰქონდა ბესო ბიძინაშვილთან



რა მოხდა ვერცხლის და დიუმას ქუჩებზე



იაგო ნებიერიძის პროცესი დღეს რუსთავის მე-6 პენიტენციურ დაწესებულებაში გაიმართება

შსს-მ პატრულ-ინსპექტორი დააკავა



ორსულმა არასრულწლოვანმა 2 ბიჭთან ერთად წერეთელზე მაღაზია გაქურდა

### ეკონომიკა გვ.4

რომან გოცირიძე: „საქართველო დაუმთავრებელი მშენებლობის პოლიგონად გადაიქცა“



ირაკლი კოვზანაძე: „ეროვნულმა ბანკმა და „თიბისი ბანკმა“ ერთობლივად უნდა იმუშაონ სამართლებრივ ჩარჩოებში“ გვ.4





გვ.6 რას ვყიდულობთ და ვყიდით რუსეთში

ISSN 1987-9385

5 ინალ არძინბა ისევ გააქტიურდა
ალექსანდრე ანქვაბზე კიდევ ერთი იერიში მიიტანეს

2 ლია მუხაშავრია: „მურვან ყრუს ვითარება დაგვიდგა“

3 ვახტანგ ხმალაძე: „მოსამართლის დასანიშნად რამდენიმე ფილტრია საჭირო“

8 პუტინი: „ამერიკასაც ვესვრით, თუ დაგვჭირდა“

# ლია მუხაშავრია: „მურვან ყრუს ვითარება დაგვიდგა“



პარლამენტმა ჩააგდო კანონპროექტი მოსამართლეების უვადო გამწესებასთან დაკავშირებით, რომელიც ინიცირებული იყო ეკა ბესელიას და მისი თანამოაზრე რამდენიმე დეპუტატის მიერ. პარალელურად, „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭომ ამ თემაზე მორიგი განცხადება გაავრცელა. პოლიტსაბჭო კანონპროექტის ჩაგდებას იმით ხსნის, რომ ეს იყო კონსტიტუციასთან შეუსაბამო. პოლიტსაბჭო იმაზეც საუბრობს, რომ სასამართლოებში მოსამართლეთა სიმცირეა, რაც პრობლემებს აჩენს.

რა გზავნილია პოლიტსაბჭოს მორიგი განცხადება იდენტური ტექსტით და რაში მდგომარეობს გამოსავალი? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იურისტი ლია მუხაშავრია საუბრობს.

იაგო ნაცვლიშვილი

***– პოლიტსაბჭომ გაავრცელა მორიგი განცხადება სასამართლოს თემაზე. ბესელიას ჯგუფის კანონპროექტზე თქვა, რომ ის კონსტიტუციას ეწინააღმდეგება და პრობლემაა სასამართლოებში მოსამართლეთა რაოდენობა. რამდენად დამაჯერებელია ეს ყველაფერი?***

– ეს პრობლემები რეალურად არსებობს სასამართლოებში, მაგრამ მას იყენებენ მანიპულაციისთვის. მეც ვიცი, რომ მოსამართლეთა დატვირთვა ძალიან დიდია და ამისთვის უნდა დაინიშნოს დამატებითი შტატები. ამით ყველა სასამართლოში უნდა გაიზარდოს მოსამართლეთა რაოდენობა. განსაკუთრებით ეს ეხება თბილისისა და ქუთაისის სასამართლოებს, მაგრამ ამას აჭიანურებენ.

ახლა ეს გამოყენებულია იმისთვის, რომ ამით როგორმე გაამართლონ მოსამართლეთა უვადო გამწესება. თუკი შეჩერდება უვადოდ გამწესება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამით მოსამართლეების მიერ სამართალწარმოება შეფერხდება.

უზენაესი სასამართლოს წევრებად მარგველაშვილის მიერ წარდგენილი წევრები ხომ ჩააგდო თავის დროზე პარლამენტმა?! რატომ მაშინ არ დარდობდნენ იმაზე, რომ უზენაესში შემადგენლობა არ ყოფნიდა სასამართლოს?! ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს მანიპულაციის ძალიან კარგი მაგალითი. ეს არ არის მთავარი დამაბრკოლებელი ისეთი საკითხის გადაწყვეტისას, რაზეც ახლა მსჯელობს პარლამენტი და რაზეც ბესელია ინიცირებას აყენებდა.

***– მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდის გაჭიანურებაზე ისაუბრეთ. ამაში მხოლოდ პარლამენტს გულისხმობთ თუ იუსტიციის უმაღლეს საბჭოსაც?***

– ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ მოსამართლეთა დაკომპლექტების საკითხი გადასულიყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელში. ეს პირველ რიგში პარლამენტმა გააკეთა, თორემ ის მოსამართლეები თავის დროზე რომ დაენიშნათ, დღეს უზენაესი სასამართლო არ იქნებოდა ისეთი გადატვირთული, როგორიც არის. დღეს ასეთი იმიტომ არის, რომ ფიზიკურად არ ჰყოფნით მოსამართლეები სისხლის სამართლის პალატაში.

***– ის ფაქტი, რომ ეს ბერკეტი გადავიდა იუსტიციის საბჭოს ხელში, პარლამენტის არაკომპეტენტურობის ბრალია თუ ეს არის ბიძინა ივანიშვილის დიდი გეგმის ნაწილი?***

– დარწმუნებული ვარ, ბიძინა ივანიშვილი ასეთ სქემებზე არ ფიქრობს. მან მისცა მარტივი დავალება ვიღაცას. შეიძლება ეს იყოს პარლამენტის თავმჯდომარე, შეიძლება იყოს სხვა პირი. ისინი არიან მისი ნების შემსრულებლები და ისინიც ასრულებენ.

## „შეიძლება კონკურენციაც აქვთ, სასამართლოს თემაზე ვინ უკეთ შეასრულებს ივანიშვილის დაკვეთებს“

ამ პრობლემის მთელი არსი ისაა, რომ ამ მცირე ჯგუფმა, რომელსაც ჩვენ მოსამართლეთა კლანს ვეძახით, ხელში ჩაიგდო სასამართლო ხელისუფლების ყველა სადავე და ახლა ხელისუფლებას ათამაშებს თავის ნებაზე. თუმცა, არა მგონია ხელისუფლებაში ყველა ხვდებოდეს.

ეტყობა, თავის დროზე გარკვეული გარიგება დაიდო, თუ ამათ ექნებოდათ სადავეები მიშვებული, მაშინ კონტროლს აიტანდნენ, მაგრამ ბოლო დროს საზოგადოების და პროფესიული წრეების კონტროლი, რაც სასამართლოს დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას უნდა უზრუნველყოფდეს, მათ არ აწყობთ და არ სურთ.

***– რაც თქვეს განცხადებაში, რომ მზად არიან კონსულტაციებისთვის ყველა მხარესთან, ეს რეალურია თუ ესეც საბაბად მოაქვთ იმისთვის, რომ პროცესი გაწელონ?***

– რა თქმა უნდა, ეს არარეალურია და ეს არის საბაბი. კონსულტაციები რომ სდომოდათ, აქამდე შეისმენდნენ არასამთავრობოების და სამოქალაქო საზოგადოების კრიტიკას, რომელიც მიმდინარეობს ჯერ კიდევ 1997 წლიდან მოყოლებული.

შიგადაშიგ ისმენდნენ ხოლმე ხელისუფლებები, მაგრამ ახლა ისეთი ვითარებაა, რომ არ უნდათ, ყური დაუგდონ კრიტიკას და ყური დაუგდონ ძალიან კონსტრუქციულ წინადადებებს.

***– ევროსაბჭოს რეკომენდაციების შესრულებაზეც ისაუბრეს. მცდელობა ხომ არ არის, საერთაშორისო ორგანიზაციებს ამოეფარონ?***

– ჩვენ გვაქვს საქმე იმ კატეგორიის ადამიანებთან, რომლებიც ყველას და ყველაფერს იყენებენ საკუთარი მიზნების მისაღწევად. იმიტომ, რომ ეს მიზანი არის ძალიან ღირებული, აკონტროლო ხელისუფლება და აკონტროლო სრულად სასამართლო ხელისუფლება.

ასეთი შედეგის მისაღწევად ეს ადამიანები ყველაფერზე წავლენ. აქ საერთაშორისო ორგანიზაციების გამოყენებაც ისევე მოხდება, რასაც ქვეყნის შიგნით იყენებენ.

***– როდესაც საუბრობთ გარკვეული ჯგუფის ლობირებაზე, არის თუ არა ეს პარლამენტის თავმჯდომარის ჯგუფი?***

– მე ვფიქრობ, რომ ეს დაკვეთა მოდის პირადად ბიძინა ივანიშვილისგან და იქ შეიძლება კონკურენციაც კი არის გამართული, ვინ შეასრულებს ამ დაკვეთას ყველაზე კარგად, რომ შემდეგ „დაუფასდეთ“. ამიტომ დაწყებული პარლამენტის თავმჯდომარიდან და დამთავრებული ფრაქციისა და უმრავლესობის ხელმძღვანელობით, ყველა ცდილობს ამ დავალების „პირნათლად“ შესრულებას.

უკვე არ ერიდებიან იმას, რომ საზოგადოების თვალში ეს ადამიანები ძალიან ცუდად გამოიყურებიან, იმდენად ჩაფლულები არიან ამ დავალების შესრულების პროცესში.

***– ანუ ივანიშვილის თვალში რაღაცა დივიდენდების მოპოვებას ცდილობენ?***

– დიახ, რა თქმა უნდა, ამას ცდილობენ. უპატაკონ, რომ შეასრულეს დავალება, თანაც „პირნათლად“. ისევე, როგორც თავის დროზე „პირნათლად“ შეასრულა დავალება ირაკლი კობახიძემ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების შედეგად რაც მივიღეთ, აგერ ვხედავთ.

***– როცა არ თმობს მმართველი გუნდი, გამოსავალი რაში მდგომარეობს?***

– გამოსავალი არ არის იოლად საპოვნი. უბრალოდ, უნდა გავაგრძელოთ თქვენ – მედიამ და ჩვენ – სამოქალაქო საზოგადოებამ ბრძოლა. იმიტომ, რომ ეს ისეთი საკითხია, რომლისთვისაც ბრძოლა არ უნდა შეჩერდეს.

წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ ქვეყანას, სადაც არაფორმალურად წყდება ყველაფერი. მათ შორის, სასამართლო დარბაზებში. ეს ძალიან საშიში ვითარებაა ქვეყნის განვითარების თვალსაზრისით. თუ ჩვენ გვინდა ამ ქვეყანაში უკეთესობა, უნდა ვიბრძოლოთ მუხლჩაუხრელად და განუწყვეტლივ, ვიდრე არ მივაღწევთ სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას. სხვაგვარად წინსვლა არ გვექნება.

***– აქციებსაც ხომ არ განიხილავთ, რადგან ხელისუფლებები ასე თუ ისე ითვალისწინებენ ქუჩაში გამოსული ხალხის ნებას?***

– როდესაც ყოველგვარი უკანონო და უსინდისო ხერხებით იბრძვიან ასეთი კონტროლის მოსაპოვებლად, აქეთა მხრიდან უნდა იყოს გამოყენებული ნებისმიერი კანონიერი ფორმა. საპროტესტო აქციები სწორედაც რომ კანონიერი ფორმაა, ამიტომ ისიც უნდა იყოს გამოყენებული. ვხედავთ, რომ მურვან ყრუს ვითარება დაგვიდგა და არავის არ უნდა შეისმინოს არაფერი.

# „ევროპული საქართველო“ მამუკა ხაზარაძეს პარლამენტში მისვლას 26 თებერვალს სთავაზობს




„ევროპული საქართველოს“ მოთხოვნით საკომიტეტო ფორმატში მოდის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და ამ სხდომაზევე ვთავაზობთ მოსვლას მამუკა ხაზარაძეს, – ამის შესახებ „ევროპული საქართველო“ ლიდერმა, დავით ბაქრაძემ განაცხადა.

მან „თიბისი ბანკის“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ისაუბრა და „თიბისი ბანკის“ დამფუძნებელს მამუკა ხაზარაძეს კომიტეტის სხდომაზე მისვლა შესთავაზა.

– პარლამენტში, 26 თებერვალს დარგობრივი ეკონომიკური კომიტეტის სხდომაზე „ევროპული საქართველოს“ მოთხოვნის შესაბამისად ეროვნული ბანკის პრეზიდენტი მობრძანდება. ჩვენ ვთავაზობთ „თიბისი ბანკის“ დამფუძნებელს მამუკა ხაზარაძეს, მოვიდეს ამ სხდომაზე და სამშაბათს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან ერთად კომიტეტის ფორმატში ღიად და საჯაროდ, ჟურნალისტების თანდასწრებით და საზოგადოებისთვის გასაგებად, ვისაუბროთ იმაზე, თუ რა ხდება „თიბისი ბანკის“ ირგვლივ, რა პროცესს აქვს ადგილი, ვინ არის დაინტერესებული და რაც მთავარია, რა გავლენას მოახდენს ეს ჩვენი მოქალაქეების ცხოვრებასა და მომავალზე, – აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

მისივე თქმით, პარლამენტი ვალდებულია, ჩაერთოს აღნიშნულ თემაში.

– ეს არის მაღალი საზოგადოების ინტერესის თემა, ამიტომ პარლამენტი ვალდებულია, ამ თემაში ჩაერთოს და საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია, თუ რა ხდება იმ ბანკთან დაკავშირებით, რომელსაც პირდაპირ უკავშირდება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილის ანაბრები, სახელფასო ანგარიშები და ზოგადად, ფინანსური სტაბილურობა, – განაცხადა ბაქრაძემ.

ეროვნული ბანკი „თიბისი ბანკისგან“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის მიერ საბჭოს წევრობის დატოვებას ითხოვს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში „თიბისი ბანკთან“ დაკავშირებით გამოძიება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე მიმდინარეობს. როგორც პროკურატურაში განმარტავენ, 2008 წლის აპრილ-მაისში, კომპანიებმა შპს „სამგორი M-მა“ და „სამგორი თრეიდმა“ „თიბისი ბანკისგან“ საბრუნავი სახსრების შევსების მიზნობრიობით დაახლოებით 17 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით სესხი აიღეს, რაც იმავე დღეს სესხის სახით გაცემული იქნა ფიზიკურ პირებზე – ბადრი ჯაფარიძესა და მამუკა ხაზარაძეზე. როგორც პროკურატურაში განმარტავენ, მთელ ამ პერიოდში საგულისხმოა ის ფაქტი, რომ არც „სამგორი M-სა“ და არც „სამგორი თრეიდის“ მიერ სესხის სახით აღებული თანხის გაღება არ მომხდარა, ხოლო მოგვიანებით მათი ჩანაცვლება მოხდა ოფშორში რეგისტრირებული კომპანიით და დღემდე ეს თანხა ანაზღაურებული არ არის „თიბისი ბანკისთვის“.

# ლევან იზორია: „ტყუილია, თითქოს თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა ტენდერი და კორუფციული ინტერესებიდან გამომდინარე ჩაშალა“



საქართველოს თავდაცვის მინისტრი ჯარისკაცების კვებითი და სანივთე პროდუქტებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გაჟღერებულ ბრალდებას გამოეხმაურა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ თავდაცვის სამინისტროდან აცნობეს.

როგორც ლევან იზორიამ გორში, I ქვეითი ბრიგადის სამხედრო ბაზაზე ჟურნალისტებთან განაცხადა, გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, ჯერ გამოაცხადა და შემდგომ კი, კორუფციული მიზნებით, ჩაშალა ტენდერი, სიმართლეს არ შეესაბამება.

– ტყუილია, თითქოს, თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა ტენდერი და კორუფციული ინტერესებიდან გამომდინარე ჩაშალა. მარტო ის ფაქტი, რომ ტენდერი თავდაცვის სამინისტროს არ ჩაუტარებია, აქარწყლებს ყველანაირ ეჭვს, რომელიც ყველაზე მტკივნეულ და ჩემთვის ყველაზე მთავარ თემას – კორუფციას უკავშირდება. გთხოვთ, რომ მსგავს თემებს დიდი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ. რაც შეეხება პროცედურას, როდესაც გარკვეული პროდუქციის შესყიდვის დროს ტენდერი ჩაიშლება, უწყვეტი მომარაგების ინტერესებიდან გამომდინარე, კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ გაგრძელდეს ხელშეკრულება იმ კომპანიასთან, რომელთანაც ძველი ტენდერის საფუძველზე გაფორმებული იყო ხელშეკრულება. სწორედ ძველი ტენდერის პირობებით, ჩვენ გავაგრძელეთ ხელშეკულება, ვიდრე ტენდერში ახალი კომპანია არ გამოვლინდება, იმ სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად, რომელსაც უკვე კონსოლიდირებული ტენდერი ითვალისწინებს, რომლესაც კიდევ ერთხელ ვამბობ თავდაცვის სამინისტრო არ უკეთებს ორგანიზებას, – განმარტა ლევან იზორიამ.

თავდაცვის მინისტრმა ჯარისკაცების სანივთე პროდუქტების მომარაგებაზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ გასული წლებისგან განსხვავებით თავდაცვის ძალები სანივთე პროდუქტებით 100 პროცენდით მარაგდება.

– ჟურნალისტების თანამონაწილეობით საზოგადოებას ვაჩვენეთ, რომ ამ შემთხვევაშიც გაჟღერდა მცდარი ინფორმაცია. მინდა გითხრათ სიამაყით, სხვა წლებისგან განსხვავებით, ჩვენ სანივთე პროდუქტების, მათ შორის, ფორებისა და ბათინკების 100 პროცენტიანი მარაგი გვაქვს. მეტსაც გეტყვით, თუ ამ დრომდე ჯარისკაცების მომარაგება ხდებოდა წელიწადში ერთხელ, ახლა, თავდაცვის ძალებს სანივთე ქონებით, ორ წელიწადში სამჯერ ვამარაგებთ. რაც შეეხება ბათინკებს, რომელიც ახალი ტენდერის პირობებშია შექმნილი, მათი ხარისხი ნატოს სტანდარტებს შეესაბამება, – განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ბესელია დღეს გადაწყვეტს, დატოვებს თუ არა უმრავლესობას

## ვის გაიყოლებს თან ამბოხებული დეპუტატი

შორენა მარსაგიშვილი



მთავარი მეოცნების არაერთი შთაგონების მიუხედავად, მის გუნდში სიმშვიდემ და სიამტკბილობამ ვერ დაისადგურა. აშკარაა, რომ ცხვარი და მგელი, გურჯაანელი და თელაველი უფრო იქნებიან ერთად, ვიდრე ირაკლი კობახიძე და ეკა ბესელია.

ამ უკანასკნელმა შესაძლოა დღეს, 21 თებერვალს უარყოს „ოცნება“ და დავით ჭიჭინაძის მსგავსად, თავისუფალი დეპუტატის ბედი გაიზიაროს. მეამბოხე დეპუტატის წასვლა-არწასვლის საკითხი პარლამენტის გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული.

პარლამენტის გადაწყვეტილება კი ბევრად იქნება დამოკიდებული „ოცნების“ პოლიტსაბჭოს გუშინდელ, 20 თებერვლის სხდომაზე.

20 თებერვალს „ოცნებამ“ პოლიტიკური საბჭოს დახურული სხდომა გამართა, რომლის დასრულების შემდეგ მმართველი პარტიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ერმაც შეიტყო.

„ოცნების“ მამებმა გვამცნეს, რომ ეკა ბესელიასა და მისი თანამოაზრეების მიერ შემუშავებულ კანონპროექტს სასამართლო სისტემის ცვლილებებზე, მმართველი პარტია მხარს არ დაუჭერს.

ერმა იმის შესახებაც შეიტყო, რომ „ოცნებიდან“ წასასვლელად გამზადებული ბესელია ბიძინა ივანიშვილს შეხვდა. რაზე ისაუბრა მთავარ მეოცნებესთან, ამის შესახებ ბესელია არაფერს ამბობს, ივანიშვილთან კომენტარის ჩასაწერად კი არავის უშვებენ.

„ოცნების“ მამას ესაუბრა ბესელიას მთავარი მოწინააღმდეგე ირაკლი კობახიძეც. საუბრის დეტალებს არც პარლამენტის თავმჯდომარე ამხელს.

ბესელიამ პარტიულ მამასთან შეხვედრაზე ასეთი კომენტარი გააკეთა:

– არ მინდა ამ თემაზე ლაპარაკი, დახურულ შეხვედრებზე ნუ ვისაუბრებთ, არ არის ეს ისეთი თემა, რომელზეც საჭირო იყოს საჯაროდ საუბარი.

მისივე თქმით, არანაირი მითითება მისი მმართველი გუნდიდან წასვლის შესახებ არ ყოფილა:

– არანაირი მითითება ამის არ ყოფილა და არც სურვილი არ არის ხელმძღვანელების მხრიდან. ასეთი მითითება ან სურვილი რომ პარტიის ლიდერს ან თავმჯდომარეს ჰქონდეს, არასდროს მიგრძნია.

პირადად ჩემი გადაწყვეტილება, დავტოვებ თუ არა უმრავლესობას, დამოკიდებული იქნება დღევანდელ კენჭისყრაზე.

ბევრი საკითხი დაგროვდა, რომელსაც ვაკვირდებოდი. მე ეს პროცესი გავაანალიზე. ვნახოთ, როგორი იქნება განხილვის შედეგები. ამ შედეგებზე აისახება ჩემი გადაწყვეტილება. ახლა მთავარია, რას იზამს უმრავლესობა. დროებით შევაჩერებთ თუ არა მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნას.

მე ვერავინ ვერ გამრიცხავს, ამის უფლებას თავს არავინ აძლევს, ამის უფლება არ აქვს არც პარლამენტის თავმჯდომარეს, ასეთი რამ არ უთქვამს არც პარტიის ლიდერს, არავინ მელაპარაკება ამ ტონით და ამ ფორმით, – განაცხადა ბესელიამ.

დღეს, 21 თებერვალსვე გახდება ცნობილი, ვინ გაჰყვება თან ეკა ბესელიას. ამ დროისთვის მის თანამოაზრეებად მოიაზრებიან გედევან ფოფხაძე, ლევან გოგიჩაიშვილი, ბექა ნაცვლიშვილი და კობა ნარჩემაშვილი.

# შსს ზვიად კუპრავას პანდურის ამორტყმის გამო ედავება

## „მოვითხოვ, სასწრაფოდ ჩატარდეს ირაკლი ზაქარეიშვილის ხერხემლის ქვედა ნაწილის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა“

შორენა მარსაგიშვილი

„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელს, ზვიად კუპრავას ბრალი წაუყენეს. მას ადვოკატი ირაკლი ზაქარეიშვილი უჩივის.

ზვიად კუპრავას გამომძიებელმა ბრალდება ტელეფონით გააცნო და გააფრთხილა, რომ პოლიციის განყოფილებაში 20 თებერვლის 12 საათამდე უნდა მისულიყო.

კუპრავამ 19 თებერვალსვე განაცხადა, რომ ის გუშინ პოლიციის განყოფილებაში არ მივიდოდა. „ახალ თაობასთან“ საუბარში მან თქვა, რომ ხელისუფლება მას პოლიტიკურად ებრძვის და თავადაც პოლიტიკურად უპასუხა მათ.

სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი გაერთიანებული ოპოზიციის ოფისში გამაგრდა და სამართალდამცავებს მოუწოდა, ჩემი დაკავება თუ გინდათ, აქა და აქ მოდითო.

სამართალდამცავებმა სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელს მართლა მიაკითხეს, ოღონდ სახლში და არა გაერთიანებული ოპოზიციის ოფისში.



პოლიციელების სტუმრობის შესახებ საზოგადოებას კუპრავამ სოციალური ქსელით ამცნო.

– ათეულობით პოლიციელი შევარდა ჩემთან სახლში, თითქოსდა თურმე ეძებდნენ რაღაც ნივთს, იღებდნენ რამდენიმე კამერით და იქცეოდნენ ძალიან უხეშად. ჩემთან სახლში ცხოვრობს ჩემი 3 მცირეწლოვანი შვილი... ოჯახს არ შეეხოთ, თქვე ფარჩაკებო! იცით სადაც ვარ და მოდით აქ! სახლს და ჩემი ოჯახის წევრებს ახლოს არ გაეკაროთ! გადაგაყოლებთ ამ საქმეს, – დაწერა კუპრავამ.

მის ამ განცხადებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. „ოცნების“ მოწინააღმდეგენი შსს-ს მასობრივად წყევლიდნენ. გახარიას უწყება იძულებული გახდა განმარტებები გაეკეთებინა.

კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტრო სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელის, ზვიად კუპრავას განცხადებას, რომ მის საცხოვრებელ სახლში 10-მდე პოლიციელი შეეჭრა, არ ადასტურებს:

– გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს. კანონით გათვალისწინებული პროცედურა ჩატარდა. ვინაიდან კუპრავამ თავი აარიდა პოლიციის განყოფილებაში გამოცხადებას, ბრალი დაუსწრებლად წარედგინა და კანონი ითვალისწინებს ამ ბრალის წარდგენის შეტყობინებას ოჯახის წევრისთვის. შესაბამისად კუპრავას სახლში პოლიციის ორი თანამშრომელი მივიდა კუპრავასთვის ბრალის წარდგენის შეტყობინების მიზნით, – აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.

დღის ბოლოს, როგორც იქნა, გაირკვა თუ რას ედავებიან ზვიად კუპრავას. მან აქამდე იცოდა, რომ ზაქარეიშვილის ცემის გამო ედავებოდნენ, მაგრამ რაც გაარკვია, გაოგნებული დარჩა.

– „სხვისი თეფშიდან ჭამის“ მერე, პროკურატურა თუ რამით გამაოცებდა, ვერ წარმომედგინა...

ნამდვილად საოცრებათა ქვეყანაში ვცხოვრობთ...

ამჯერად ბრალდება გასცდა „სხვისი თეფშიდან ჭამის“ სტანდარტს და ახალ მწვერვალებს იპყრობს..

ჩემი ახალი ბრალდება ფორმულირდება შემდეგი საკვანძო წინადადებით...

„ზვიად კუპრავამ ირაკლი ზაქარეიშვილს ხერხემლის ქვედა ნაწილში ამოარტყა ფეხი“.

მოვითხოვ, სასწრაფოდ ჩატარდეს ხერხემლის ქვედა ნაწილის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა, – აცხადებს ზვიად კუპრავა.

# ვახტანგ ხმალაძე: „მოსამართლის დასანიშნად რამდენიმე ფილტრია საჭირო“

ნათია ხურცილავა

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, „შენების მოძრაობის“ წევრი ვახტანგ ხმალაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სასამართლოს ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

***– ბატონო ვახტანგ, საპარლამენტო უმრავლესობა აცხადებს, რომ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის შეჩერება სასამართლოს კოლაფსს გამოიწვევს. თქვენი პოზიცია როგორია, უნდა შეჩერდეს თუ არა?***

– მოსამართლეთა უვადოდ გამწესების შეჩერება არ არის საკმარისი იმისთვის, რომ სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემა გადაიჭრას, პრობლემა იმდენად კომპლექსურია. თუმცა, კონკრეტულად მე მიმაჩნია, რომ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა უნდა შეჩერდეს. ეს უნდა შეეხოს სამი წლის ვადით დანიშნულ მოსამართლეებსაც. თუმცა, სასამართლოს ხელი არ უნდა შეეშალოს იმ დავების გადაწყვეტაში, რომელიც მიმდინარეობს.

***– სწორედ ამაზე აპელირებს უმრავლესობა.***

– ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია სათანადო მექანიზმებით. მთავარია, შეთანხმება მოხდეს. საუბარია შეზღუდულ დროზე და არა სამუდამოდ. ამიტომ, ეს არავითარ კოლაფსს არ გამოიწვევს.

გარკვეული პერიოდით უნდა მოხდეს გადავადება მოსამართლეთა უვადოდ გამწესების. ამ დროში კი უნდა მომზადდეს მთელი რიგი საკითხები, ცვლილებები მათ შორის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესში.

კანონპროექტი ითხოვს კონსტიტუციაში, კონსტიტუციის გარდამავალ დებულებაში ცვლილების შეტანას.

***– კონსტიტუციურობის ტესტი, რაზეც საუბრობს კობახიძე, უნდა გაიაროს კანონპროექტმა?***

– დიახ, მაგრამ აქ საქმე გვაქვს ასეთ ვითარებასთან, სათქმელი ბოლომდე უნდა ითქვას. საკანონმდებლო ინიციატივა სახეს იცვლის ხოლმე, მთავარია, მხარს უჭერ თუ არა წარმოდგენილი კანონპროექტის იდეას. ამ შემთხვევაში კი საუბარია, უჭერთ თუ არა მხარს მოსამართლეთა უვადოდ გამწესების დროებით შეჩერებას. თუ იდეა მისაღები იქნებოდა უმრავლესობისთვის, მათ შეეძლოთ კონსტიტუციის ცვლილება, რადგან ისინი ფლობენ საკონსტიტუციო უმრავლესობას და ეს პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს.

***– ეს კანონპროექტი განწირულია ჩავარდნისთვის.***

– მოსამართლეთა უვადოდ შეჩერებას მხარს უჭერს საპარლამენტო ოპოზიციაც. კვორუმის თვალსაზრისით კანონპროექტს პრობლემა შეექმნება, მაგრამ რომც არ შეექმნას, როგორც უკვე გითხარით, შემდეგ უკვე ცვლილებები იქნება შესატანი კონსტიტუციაში, წინააღმდეგ შემთხვევაში კანონი რომც იყოს მიღებული, იუსტიციის უმაღლესი საბჭო მაინც გააგრძელებს მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნებს ან ვინმე ამ კანონს საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრებს ნორმის არაკონსტიტუციურობიდან გამომდინარე.

***– პოლიტიკური ნების შემთხვევაში პრობლემას ვერ ხედავთ?***

– რა თქმა უნდა, არავითარი პრობლემა არ არის. თუმცა, პოლიტიკური ნება არ არის და, შესაბამისად, ამის სურვილი არ ჩანს, ეს გამოაჩინა პოლიტსაბჭოს სხდომის შედეგმაც.

***– რატომ უნდა აწყობდეს ამ ხელისუფლებას, სწორედ მურუსიძესთან, ჩინჩალაძესთან, გვრიტიშვილთან იყოს აფილირებული? ამ ადამიანების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება ყველასთვის ხომ ცნობილია?***

– ზოგადად ხელისუფლების დამოკიდებულება როგორი უნდა იყოს მოსამართლისა და სასამართლო ხელისუფლების მიმართ: როგორი სასამართლო გვინდა?! სასამართლო, რომელიც ობიექტურად გადაწყვეტს ნებისმიერ დავას თუ სასამართლო, რომელიც ხელისუფლის ჭკუაზე ივლის?!



ეს არის მთავარი კითხვა. ამიტომ საზოგადოების როლი ამ პროცესში განუსაზღვრელად მნიშვნელოვანია. ერთ რამეში შემიძლია დაგარწმუნოთ: თუ ადამიანები, და სასამართლო ადამიანებისგან შედგება, მზად არიან ერთ კონკრეტულ ხელისუფლებას ემსახურონ, მისის დავალება თუ დაკვეთა შეასრულონ, მაშინ, როგორც კი ეს ხელისუფლება შეიცვლება და სხვა ხელისუფლება მოვა, ეს ადამიანები მზად იქნებიან, იმ ხელისუფლებას ემსახურონ და მისი დაკვეთა, სურვილები შეასრულონ.

ამას ვერ აცნობიერებს ვერც ერთი ხელისუფლება, როდესაც ხელისუფლებაშია. არც ერთი ხელისუფლება არ უყურებს შორეულ პერსპექტივას, როდესაც მოდის ხელისუფლებაში და ფეხს მოიმაგრებს, ფიქრობს, განცდა უჩნდებათ, რომ ათეული წლები დარჩებიან, რომ შეუცვლელები არიან.

სამწუხაროდ, ავიწყდებათ ის, რომ ეს არსად და არასოდეს ხდება. რომ აუცილებლად შეიცვლებიან და მერე თავადვე აღმოჩნდებიან ამ მიკერძოებული მიდგომის მსხვერპლნი. ამიტომ, ყველამ უნდა შეიგნოს ერთხელ და სამუდამოდ, რომ სასამართლო იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი, რომ მოსამართლე არ უყურებდეს თვალებში პოლიტიკოსებს, ხოლო პოლიტიკოსები არ ცდილობდნენ, რომ დაიქვემდებარონ სასამართლო მაშინაც, როდესაც ხელისუფლებაში ხარ და მაშინაც, როდესაც ოპოზიციაში ხარ.

სანამ არ მოხდება ამ შეგნების გაცნობიერება კარგად, მანამდე გვექნება ის პრობლემები, რაც გვაქვს. ამ ყველაფრის გამო არის ძალიან მნიშვნელოვანი სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა.

***– ბატონო ვახტანგ, ვენეციის კომისია მზად არის, მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის კრიტერიუმების დადგენის პროცესში ჩაერთოს. რას იტყვით?***

– ვენეციის კომისია ცალსახად მხარს უჭერს მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნას, რადგან უვადოდ დანიშვნა მიიჩნევა მოსამართლის დამოუკიდებლობის ყველაზე მაღალ გარანტიად და სამართლიანადაც მიიჩნევა, მაგრამ მთავარია, უვადოდ დაინიშნონ მხოლოდ წესიერი, მიუკერძოებელი, საქმის მცოდნე მოსამართლეები.

ამ პროცესის უზრუნველყოფისთვის კი საჭიროა კრიტერიუმების დადგენა. დადგენა იმისა, თუ რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს მოსამართლე. ასევე, როგორ ინიშნებიან ისინი თანამდებობაზე და ვინ ნიშნავს მათ.

თუ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების საკითხი არ გადაწყდა, მაშინ შეიძლება თანამდებობებზე აღმოჩნდნენ ისინი, ვინც არ უნდა დაინიშნონ. ამიტომ, მე ვთვლი, რომ რამდენიმე ფილტრი არის საჭირო იმისთვის, რომ მოსამართლე დაინიშნოს თანამდებობაზე და არ არის მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭო საკმარისი.

ქვედა ინსტანციების სასამართლოს მოსამართლეებმაც დამატებითი ფილტრი უნდა გაიარონ და ეს ამ შემთხვევაში პარლამენტი უნდა იყოს.

# კახა კოჟორიძე: „მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა ძალიან ცუდია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს იურისტი კახა კოჟორიძე პასუხობს.

***– ბატონო კახა, მმართველმა გუნდმა საბოლოოდ უარი თქვა შეაჩეროს მოსამართლეების უვადოდ დანიშვნა და უარი უთხრა ბესელიას და მის გუნდს მათ მიერ წარდგენილ ინიციატივაზე. როგორია თქვენი, როგორც იურისტის შეფასებები?***

– პირველ რიგში იმას ვიტყვი, რომ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის საკითხი, შესაძლებელია ბევრის მიერ არის აღიარებული, მე საერთაშორისო სტანდარტებს ვგულისხმობ, რომ ხელს უწყობს დამოუკიდებელი და თავისუფალი სასამართლოს უზრუნველყოფას და სწორედ ამიტომ მოხდა თავის დროზე ამ საკითხის გააქტიურება, მაგრამ...

***– მაგრამ რა?***

– ჩვენთან პრობლემა არის შემდეგი, სასამართლო სისტემა უვადოდ დანიშვნაზე როცა გადადის, ის უნდა იყოს სათანადოდ მომზადებული. ანუ, უნდა იყოს იუსტიციის საბჭო გამართული და სწორად უნდა ფუნქციონირებდეს, უნდა იყოს იუსტიციის სკოლა გამართული და სწორად ფუნქციონირებდეს, უნდა იყოს სათანადო კადრები სასამართლოში იმისთვის, რომ კვალიფიციური, ღირსეული და კეთილსინდისიერი ადამიანები დაინიშნონ სასამართლოში.

***– ჩვენ ამისთვის მზად არ ვართ?***

– უვადოდ დანიშვნა კარგია იმ შემთხვევაში, თუ უვადოდ ინიშნებიან ის მოსამართლეები, რომლებიც გამორჩეულები არიან კეთილსინდისიერებით და პროფესიონალიზმით. უვადოდ დანიშვნა ცუდია, თან ძალიან ცუდია, როცა უვადოდ ვნიშნავთ ისეთ მოსამართლეებს, როგორიც არიან, მაგალითად, ბატონი მურუსიძე, ბატონი ჩინჩალაძე, სერგო მეთოფიშვილი და ასე შემდეგ. აი ასეთი მოსამართლეების უვადოდ დანიშვნა არის ცუდი. პარლამენტის თავმჯდომარემ, ერთ-ერთ პირდაპირ ეთერში თქვა, რომ სასამართლო იყო ადგილი, სადაც მოსამართლეები მასობრივად ჩადიოდნენ ცუდ რაღაცებს. ახლა ჩნდება კითხვა, მასობრივად ცუდი რაღაცების ჩამდენი მოსამართლე, უვადოდ უნდა დავნიშნოთ?! ეს სწორი დამოკიდებულება იქნება?! ჩვენ ასევე ვნახეთ პოლიტსაბჭოს მიერ გავრცელებული განცხადება, სადაც ამბობდნენ, რომ ადრე საქართველო იყო სახელმწიფო, სადაც ადამიანი სამართალს ვერ იპოვიდა და სამართლიანობისთვის ბრძოლა უშედეგოდ მთავრდებოდაო.

***– ასე უცებ გარდაიქმნენ და შეიცვალნენ?***

– დიახ, აქაც ეს კითხვა ჩნდება, მაგრამ ნახეთ რა არის პოლიტხელმძღვანელობის ხედვა, რომ ადრე ეს მოსამართლეები ცუდ რაღაცებს



აკეთებდნენ და დღეს შეიცვალა პოლიტიკური ხელმძღვანელობა, შეიცვალა პოლიტიკური ძალა, რომელიც მართავს ქვეყანას და, შესაბამისად, ეს მოსამართლეები ახლა კარგად იქცევიან. ზუსტად პოლიტსაბჭოს და პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება არის იმისი პირდაპირი აღიარება, რომ სასამართლო დამოკიდებულია პოლიტიკურ ცვლილებებზე. რომ მოსამართლე მორჩილი იქნება თუ დამოუკიდებელი, ეს საკითხი დამოკიდებულია იმაზე, ვინ იქნება ხელისუფლებაში.

***– არასწორად ესმის ეს საკითხი ხელისუფლებას?***

– დიახ და სწორედ ამას ვებრძვით, ეს არის ძალიან მარტივი, კლასიკური ნიმუში იმისა, როგორ არასწორად ესმის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას სასამართლოს არსი, სასამართლოს ფუნქცია, სასამართლოს დანიშნულება. სწორედ ამას ვებრძვით მეც, ჩემი მეგობრები და ძალიან ბევრი ორგანიზაცია, ვინც ამ პროცესში ჩართულია, რომ ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი სასამართლო, რომელიც არ იქნება დამოკიდებული პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზე. მიშა იქნება ხელისუფლებაში, ბიძინა იქნება თუ სხვა, ამას მნიშვნელობა არა აქვს. სასამართლო უნდა იყოს სტაბილური. მოსამართლეს იმიტომ ვნიშნავთ ჩვენ უვადოდ, რომ მიუხედავად იმისა, 20-30 წლის განმავლობაში როგორი პოლიტიკური ცვლილებები მოხდება, სასამართლო უნდა იქცოდეს ერთნაირად სამართლიანად. სწორედ ამან უნდა შექმნას პოლიტიკური სტაბილურობა და ქვეყნის განვითარებას ამან უნდა მისცეს ბიძგი.

***– დღეს რა სიტუაციაა?***

– დღეს რასაც ვისმენთ ჩვენ, ეს აღიარებაა იმისა, რომ სასამართლო დამოკიდებულია იმაზე, ვინ იქნება ხელისუფლებაში და მთლიანად პოლიტიკურ ამინდზეა სასამართლო დამოკიდებული. იმისი იმედი, რომ რადიკალურად პოზიტიური ცვლილებები მოხდება სასამართლოში, მე პირადად არა მაქვს.

***– პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ საზოგადოებას დავუბრუნოთ ნდობა სასამართლოს მიმართო, გჯერათ ამის, რომ ამას შეძლებენ?***

– სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, 100%-ით გამორიცხულია, რომ ასეთი დამოკიდებულებით სასამართლო გახდეს დამოუკიდებელი, ვერ გახდება. ეს აქსიომაა, მსოფლიო ისტორიული გამოცდილებით დადგენილი აქსიომაა, რომ მოსამართლე უნდა იყოს სამართლიანი. სამწუხაროდ, ძალიან ელემენტარულ რაღაცებზე გვიწევს დღეს დავა და კამათი. ბატონმა მურუსიძემ კამათი გახსნა იმასთან დაკავშირებით, მოსამართლე სამართლიანი უნდა იყოს თუ არა. მისი ცნობილი ფრაზები სწორედ აქეთკენ მიემართება. მისი ლოგიკა ასეთია, მე შეიძლება არ ვიყავი სამართლიანი, მაგრამ მაშინდელი კანონმდებლობა სამართლიანად მოქცევის საშუალებას არ მაძლევდა. ეს არის მისი და ზოგადად ამ კლანის ლოგიკა, რომ შეიძლება ჩვენ რაღაცას ვაშავებდით, მაგრამ ეს ჩვენი ბრალი კი არ იყო, ცუდი კანონების ბრალი იყო, მიხეილ სააკაშვილის და ნაციონალური მოძრაობის ბრალი იყო. ეს აბსოლუტურად მიუღებელია.

***– არ იყო მაშინდელი კანონების და ამასწინანდელი ხელისუფლების ბრალი?***

– მიუღებელია ასეთი მსჯელობა. ჯერ ერთი, კანონებს ვერ დავაბრალებთ მათ არასწორ გადაწყვეტილებებს. როგორც იურისტი, უფლებადამცველი და პრაქტიკოსი ადვოკატი, რომელსაც მაშინდელ სასამართლოსთან ძალიან ხშირი შეხება მქონდა, არაერთი მაგალითია იმისა, რომ კანონი კი არ უშლიდა ხელს, მოსამართლე სამართლიანი ყოფილიყო, არამედ თვითონ იყო ამ მდგომარეობაში.

***– რა მდგომარეობაში?***

– შეიძლება გარკვეული ზეწოლის შედეგად, შეიძლება თავად თვითონ იყო მორჩილი მაშინდელი სისტემის და წყობის, მაგრამ ფაქტი იყო ის, რომ სასამართლო მასობრივ არასწორ გადაწყვეტილებებს ღებულობდა. ახლა იმისი განცდა, რომ მოდით, ისევ იგივე მოსამართლეების კლანი დარჩეს სისტემაში, მათ წარმოადგინონ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატები, დავნიშნოთ უვადოდ და ამ ყველაფრის შედეგად შესაძლოა სასამართლოს მიმართ ნდობა გაიზარდოს, ეს არის გამორიცხული. თუ ხალხს ვეუბნებით, რომ ეს მოსამართლეები იყვნენ, ვინც მასობრივად უსამართლობას ჩადიოდნენ, მერე რთული კი არა, შეუძლებელია, დაარწმუნო ადამიანი, რომ მასობრივად ცუდი რაღაცის ჩამდენი იქნება იმისი გარანტი, რომ 20-30 წლის განმავლობაში მათ მიერ ადამიანის უფლებები დაცული იქნება, ბიზნესი დაცული იქნება და სასამართლო თავის ფუნქციას შეასრულებს. ვერ შეასრულებს, ეს გამორიცხულია!

***– იყო მოლოდინი, რომ შესაძლოა უმრავლესობა წასულიყო გარკვეულ დათმობაზე და რაღაც შეეცვალათ ამ კუთხით, თუმცა მათ ამაზე გადაჭრით თქვეს უარი. არის რაიმე ბერკეტი საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციების ხელში, რომ ეს პროცესი შეაჩერონ?***

– ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ ის რეალობა, რომ არ შეგვიძლია შევქმნათ თავისუფალი, წარმატებული სახელმწიფო, თუ არ შევქმნით თავისუფალ და სამართლიან სასამართლოს. ეს ორი საკითხი ერთმანეთთან ორგანულად არის პირდაპირ კავშირში. ბევრი ჩვენი პრობლემა, რაც დამოუკიდებლობის შემდგომ დღემდე არსებობს, არის სწორედ ამ თემით გამოწვეული და ამ თემასთან პირდაპირ კავშირში.

***– ყველას თანაბრად ეხება ეს პრობლემა.***

– რა თქმა უნდა, სასამართლოში არსებული პრობლემა ეხება არა მხოლოდ იმ ადამიანს, ვისაც სასამართლოში რაიმე საქმე აქვს და იქ სიარული უწევს, ასევე იმ ადამიანსაც ეხება, ვისაც შეიძლება პირდაპირი შეხება არ ჰქონდეს სასამართლოსთან. მაგალითად, მე დღეს საადვოკატო საქმიანობას ვეწევი და მაქვს რამდენიმე საქმე, სადაც ბიზნესი არის პირდაპირ დაზარალებული სახელმწიფოს არასწორი მოქმედებებით და ჩვენ რომ გვქონოდა სამართლიანი სასამართლო, ამდენი ხალხი არ დაზარალდებოდა. მაგალითად, თბილისის საავიაციო ქარხანას, ფოთის გემთსაშენ ქარხანას, ფონდ კონსტანტას, აი, ამ სამ ორგანიზაციაში დაახლოებით 6 ათასი ადამიანი იყო დასაქმებული და იმის გამო, რომ სამართლიანი სასამართლო არ არსებობდა ქვეყანაში, ეს ორგანიზაციები ძალიან მძიმე დღეშია. 6 ათასმა ადამიანმა დაკარგა სამსახური. მე მხოლოდ ჩემი საქმეებიდან გამომდინარე ვამბობ დ ასეთი საქმეები, სამწუხაროდ, ბევრია. ამიტომ სასამართლო ყველას ეხება, შეიძლება დავა არ გქონდეს, მაგრამ ეს შენს პირად პრობლემას პირდაპირ ეხებოდეს.

## რომან გოცირიძე: „საქართველო დაუმთავრებელი მშენებლობის პოლიგონად გადაიქცა“



პარლამენტის ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე რომან გოცირიძე მთავრობას ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების დაბალი ტემპების გამო აკრიტიკებს და შესაბამისი კითხვებით რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს მაია ცქიტიშვილს მიმართავს.

– რით ხსნით იმ ფაქტს, რომ ექვსი წლის განმავლობაში ექვსი მინისტრი შეიცვალა, მაშინ როდესაც, ამ ექვსი წლის განმავლობაში იუსტიციის სამინისტროს ჰყავს ერთადერთი და შეუცვლელი მინისტრი.

ინფრასტრუქტურის ყოფილი მინისტრები არიან ასეთი ცუდები, თუ ქალბატონი თეა წულუკიანი არის ასეთი კარგი?! ამ შეკითხვის გაგრძელება – ამ ექვსი წლის განმავლობაში ინფრასტრუქტურის სამინისტრომ დახარჯა 6.5 მილიარდი ლარი. მიმდინარე წლის ბიუჯეტის ფულს თუ დავუმატებთ, დაახლოებით გამოდის 9 მლრდ ლარამდე ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ გაწეული თუ გასაწევი ხარჯი. ეს არის გაცილებით იმაზე მეტი, ვიდრე დაიხარჯა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ყველა მთავრობის მიერ, მათ შორის, იმ 9-წლიანი მთავრობის მიერ. რაიმე ჩანს გაკეთებული, გარდა იმისა, რაც გაკეთდა იმ 9 წელიწადში? რომელია ის პროექტები, რაც უნდა დასრულებულიყო და დაწყებულიც არ არის? რატომ გადაიქცა საქართველო დაუმთავრებელი მშენებლობის პოლიგონად? იწყებთ რაღაცას და ვერ ამთავრებთ. რა არის მიზეზი? – კორუფცია, თავმოუბმელობა, თუ ვილაცამ დაგწყევლათ და მეშვიდე მინისტრს უნდა ველოდოთ? გთხოვთ წარმოადგინეთ ჩავარდნილი პროექტების ნუსხა, – მიმართა მინისტრს რომან გოცირიძემ.

პარლამენტში ახალი ფორმატის – „მინისტრის საათის“ ფარგლებში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოსმენა მიმდინარეობს. მას შემდეგ, რაც დეპუტატები კითხვების დასმას დაასრულებენ, მინისტრი მათ პასუხს გასცემს.

ბმ.გე

## რომან გოცირიძე: „აუცილებელია, გამოცხადდეს მორატორიუმი მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნასთან დაკავშირებით“

– აუცილებელია, გამოცხადდეს მორატორიუმი მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნასთან დაკავშირებით და ამის შემდეგ დაიწყოს სასამართლო სისტემის სიღრმისეული რეფორმა, – ამის შესახებ ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ რომან გოცირიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, ფრაქცია აუცილებლად დაუჭერს მხარს უმრავლესობის 9 დეპუტატის ინიციატივას, რომელიც მიზნად ისახავს მოსამართლეთა უვადოდ გამწესების 2024 წლის 31 დეკემბრამდე გადავადებას.

– ჩვენ, რა თქმა უნდა, აუცილებლად დავუჭერთ მხარს უმრავლესობის ერთი ნაწილის, 9 დეპუტატის ინიციატივას. მათ შორის ქალბატონი ეკა ბესელია არის ამ ინიციატორებში. აუცილებელია გამოცხადდეს მორატორიუმი მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნასთან დაკავშირებით და ამის შემდეგ უკვე დავიწყოთ სერიოზული, სიღრმისეული რეფორმა სასამართლო სისტემისა, მათ შორის პარლამენტში, – აღნიშნა რომან გოცირიძემ.

## ირაკლი კოვზანაძე: „ეროვნულმა ბანკმა და „თიბისი ბანკმა“ ერთობლივად უნდა იმუშაონ სამართლებრივ ჩარჩოებში“

– ეროვნული ბანკი დამოუკიდებელი სტრუქტურაა და მას აკისრია სრული პასუხისმგებლობა, ერთი მხრივ, საბანკო კანონმდებლობის დაცვაზე, აღნიშნული სფეროს მდგრადობასა და სტაბილურობაზე, მეორე მხრივ, მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე. საბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის განხორციელების პროცესში ეროვნული ბანკი უფლებამოსილია თანამიმდევრულად გამოიყენოს მთელი რიგი სანქციები, – განაცხადა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი კოვზანაძემ.

ამავე დროს, ირაკლი კოვზანაძემ აღნიშნა, რომ ,,თიბისი ბანკი“ ერთ-ერთი ლიდერი კომერციული ბანკია არა მხოლოდ საქართველოს ბაზარზე, არამედ რეგიონშიც. მისი თქმით, ბანკის აქციონერები არიან ისეთი ცნობილი საერთაშორისო ინსტიტუტები, როგორიცაა J.P. Morgan Chase Bank და „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი“ (EBRD); „თიბისი ბანკი“ ლონდონის ბირჟის პრემიუმლისტინგში შემავალი საჯარო კომპანიაა. მისი კაპიტალის დონე, ლიკვიდობის ხარისხი, სტაბილურობა და მდგრადობა დადასტურებულია როგორც საერთაშორისო აუდიტორული კომპანიების, ასევე თავად ეროვნული ბანკის მიერ.

– ზემოთქმულიდან გამომდინარე, ასევე იმიტომ, რომ საფინანსო სექტორს არ უყვარს ხმაური, მიმაჩნია, რომ ეროვნულმა ბანკმა და „თიბისი ბანკმა“ ერთობლივად უნდა იმუშაონ სამართლებრივ ჩარჩოებში და საკითხი დაარეგულირონ ობიექტურად და წმინდა პროფესიონალურად, ზედმეტი აჟიოტაჟის გარეშე.

ჩვენ მოვისმინეთ, „თიბისი ბანკის“ დამფუძნებლების განცხადება, რომ აქვთ სურვილი, პარლამენტს წარუდგინონ გარკვეული მასალები. მინდა განვაცხადო, რომ პარლამენტი ღიაა, უშუალოდ კი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი მზადაა, მოაწყოს შეხვედრა როგორც „თიბისი ბანკის“, ასევე ეროვნული ბანკის წარმომადგენლებთან, – აღნიშნა ირაკლი კოვზანაძემ.



კომერსანტი

## ლევან კობერიძე: „უმრავლესობის დატოვებას არ ვაპირებ“

ცვლილებები სასამართლო სისტემაში და მოსამართლეთა უვადოდ გამწესების გადავადების შესახებ კანონპროექტი – საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ლევან კობერიძის განცხადებით, იმ შემთხვევაში თუ კანონპროექტი ჩავარდება ის უმრავლესობის დატოვებას არ აპირებს:

– იმედი მაქვს, რომ აღნიშნულ პროექტს ექნება პოზიტიური გამოხმაურება. არ მიღების შემთხვევაში პირადად მე არ ვაპირებ უმრავლესობის დატოვებას, ვაპირებ უმრავლესობასთან ერთად ყველაფრის გაკეთებას, რომ საბოლოო ჯამში სამართლიანი სასამართლო მივიღოთ, – აღნიშნა ლევან კობერიძემ.

რაც შეეხება კითხვას, დატოვებენ თუ არა უმრავლესობას ეკა ბესელია და მისი მომხრე სხვა დეპუტატები, კობერიძის თქმით, მას ამაზე ბესელიასთან არ უსაუბრია.

– საჯაროდ როგორც ვიცი, ეკა ბესელიას მხრიდან წასვლის შესახებ განცხადება არ გაკეთებულა. რაც შეეხება პირად საუბრებს, აღნიშნულზე არ გვისაუბრია, – განაცხადა ლევან კობერიძემ.

# ცხინვალში ოსურ-სომხურ მეგობრობას სომხურ ჯვარს დაუდგამენ

## იფეთქებს თუ არა საქართველოში მორიგი ეთნიკური კონფლიქტი

შორენა მარსაგიშვილი

რუსეთის მიერ ოკუპირებულ ცხინვალს ბედნიერი დღეები გაუთენდა – მათთან ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება არაღიარებული მთიანი ყარაბაღის სამთავრობო დელეგაცია.

ყარაბაღელთა დელეგაციას ყარაბაღული დიპლომატიის მამა, მასის მაილიანი ხელმძღვანელობს, რომელიც თავის ოს კოლეგას და ცხინვალელ ოსთა ლიდერს შეხვდა. ყარაბაღის დელეგაცია ცხინვალს დღეს, 21 თებერვალს, დატოვებს.

სომეხ სტუმრებს ოსები ამაყად ათვალიერებინებდნენ რუსი ოკუპანტების დახმარებით მიტაცებულ ქართულ მიწებს. მასპინძლებმა სტუმრები ოკუპირებულ ახალგორშიც წაასხეს, სადაც ყარაბაღის სიამაყეებს ოსური ტრადიციული ლუდი და ხაბიზგინები მიართვეს.

სომხებს და ოსებს არც ცხინვალში დაუკლიათ ლუდი და ოსური კეცეული. ერთმანეთი ოფიციალურ გარემოშიც აქეს და არაოფიციალურშიც. სომხურ-ოსური მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცების მიზნით, მათ ძეგლის დადგმა გადაწყვიტეს.

ოსური მედიის ინფორმაციით, ცხინვალის ერთ-ერთ ქუჩაზე სომხურ-ოსური მეგობრობის აღსანიშნავად სომხურ ჯვარს (ხაჩქარს) დადგამენ.

ამის შესახებ განცხადება ცხინვალელ ოსთა ლიდერმა, ანატოლი ბიბილოვმა გააკეთა.

ოსთა ლიდერი აცხადებს, რომ ცხინვალის რეგიონში მცხოვრები სომხური დიასპორა საკუთარ თავს საუკეთესო მხრიდან წარმოაჩენს:

– ჩვენთან ბევრი სომეხი მაღალ თანამდებობას იკავებს. ისინი პატრიოტები არიან და ჩვენი საერთო სამშობლოს ინტერესებს ატარებენ, – განაცხადა ყარაბაღის დელეგაციასთან შეხვედრაზე სომხების სიყვარულში ჩაფერფლილმა ბიბილოვმა.

როგორც ოსური საინფორმაციო სააგენტო „რესი“ გვატყობინებს, მეგობრობის აღსანიშნავად ცხინვალის ხელისუფლებას იდეა რეგიონში მცხოვრებმა ეთნიკურმა სომხებმა შესთავაზეს.

ამ ჯვარს რეგიონში მცხოვრები ეთნიკური სომხების საყვარელ ქუჩაზე დადგამენ და იქვე სკვერსაც გააშენებენ.

ბიბილოვი ვარაუდობს, რომ სომეხთა და ალანთა მეგობრობის სიმბოლო მსოფლიოს აღაფრთოვანებს.

– ეს ძეგლი დაიდგმება ქუჩაზე „არმიანსკაია“, იქვე გაშენდება სკვერი. ჯვარი, რომელსაც იქ დავდგამთ, გახდება ოსებისა და სომხების მეგობრობის სიმბოლო არა მხოლოდ ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მთელ მსოფლიოში, – აღნიშნა ცხინვალის მმართველმა.

ანატოლი ბიბილოვის ისტორიულ განათლებას თუ დავუჯერებთ, სომხებსა და ოსებს მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა აკავშირებთ:

– ჩვენ – სომხები და ოსები – არასდროს ვივიწყებთ იმ ურთიერთობებს, რომლებიც ჩვენმა წინაპრებმა დაგვიტოვეს. ვაფასებთ იმ მემკვიდრეობას, რომელიც მათ გვიანდერძეს კეთილმეზობლობისა და ძმობის თვალსაზრისით, – განაცხადა თვალზე კურცხალმომდგარმა ბიბილოვმა.





ბიბილოვის გულისამაჩუყებელი სიტყვის პარალელურად ოფიციალური განცხადებებიც გაკეთდა. ოსური დიპლომატიის მამამ და მისმა ყარაბაღელმა კოლეგამ სამყაროს მიღწეული შეხვედრის შესახებ აუწყეს.

ოსური სააგენტო „რესის“ ცნობით, საგარეო უწყებებმა თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება გააფორმეს, რომელიც მედიის ინფორმაციითვე, ითვალისწინებს სავაჭრო წარმომადგენლობების გახსნასაც.

– სამხრეთ ოსეთი და არწახი – ორი რესპუბლიკაა, რომელთაც ძალიან სერიოზული გამოცდის გავლა მოუწიათ, განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნების უახლეს ისტორიაში. ჩვენ ბევრი საერთო გვაქვს ისტორიული კუთხით და დიდად ვაფასებთ ჩვენს ურთიერთობებს, – განაცხადა დიმიტრი მედოევმა.

მასის მაილიანმა აღნიშნა, რომ ოსებთან შედარებით, ისინი უფრო დაუცველები არიან, მაგრამ მაინც იმედით შეჰყურებენ მომავალს.

– უსაფრთხოების საკითხი ჩვენთვის ჯერ არ არის დახურული. ამ კუთხით სამხრეთ ოსეთი, თუკი რუსეთთან თქვენს კავშირებს გავითვალისწინებთ, უფრო კეთილსაიმედო ვითარებაში იმყოფება. ყველა სირთულის მიუხედავად, ბლოკადის პირობებში ვცდილობთ სტაბილურობა შევინარჩუნოთ და ეკონომიკა განვავითაროთ, – სთქვა ყარაბაღული დიპლომატიის მამამ.

ოსები ცხინვალში აღმართული სომხური ჯვრის აღმართვის იდეით აღფრთოვანებულები არიან, რაც მათ მომავალში შეიძლება ძვირად დაუჯდეთ. სომეხმა მეცნიერებმა ამ ჯვარზე დაყრდნობით შეიძლება დაამტკიცონ, რომ ცხინვალი სომხური მიწაა.

სომეხ მეცნიერებს და ისტორიკოსებს დიდი ფანტაზია აქვთ, მაგრამ ოსმა ისტორიკოსებმა ბოლო დროს მათი ყველა რეკორდი მოხსნეს.

სულ ახლახან ცნობილი გახდა, რომ ოსმა ისტორიკოსებმა სვეტიცხოვლის ოსური წარმომავლობა დაადგინეს და დაამტკიცეს, რომ ამ დიდებულ, ქართულ ტაძარს თურმე ოსთაცხოვრელი ჰქვია.

საუკუნოვანი ოსურ-სომხური მეგობრობა შესაძლოა ვეფხისტყაოსნის გამო დასრულდეს. სომეხი ისტორიკოსები მრავალი წელია ამტკიცებენ, რომ შოთა რუსთაველი სომეხი იყო. ოსი მეცნიერების მტკიცებით კი, შოთა რუსთაველი დავით სოსლანის ფსევდონიმია. და რაკი სოსლანი ეთნიკური ოსი იყო, ვეფხისტყაოსანიც ოსური ნაწარმოები გამოდის.

ამ თემაზე ოს და სომეხ ისტორიკოსებს ბევრი ექნებათ სამუშაო. პირველ რიგში, მათ ის უნდა დაამტკიცონ, რუსთაველმა რატომ დაწერა თავისი უკვდავი ნაწარმოები ქართულ ენაზე. ის თუ ოსი ან სომეხი იყო, თავის ენაზე ვერ შექმნიდა შედევრს?

❖ ❖ ❖

ვიდრე ჩვენ სომეხი და ოსი ისტორიკოსების ნაწილის ნაშრომებზე ვღლიცინებთ, საქართველოში საკმაოდ ცუდი პროცესები მიდის. საქართველოს პარლამენტის დეპუტატი რუსლან პოღოსიანი მოსალოდნელ არეულობაზე ალაპარაკდა.

დეპუტატმა ამასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადებაც გააკეთა, სადაც ამბობს, რომ შეიძლება ქვეყანაში ეთნიკური კონფლიქტი დაიწყოს. პოღოსიანი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს ინტერესები ხელისუფლებასთან ერთად, მისმა მოქალაქეებმაც უნდა დაიცვან.

– საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა ეთნიკური მრავალფეროვნებით, ჩვენი სამშობლოს მომავალს ერთად ქმნიდნენ საქართველოს ერთგული და მასზე შეყვარებული სხვადასხვა ეთნოსების წარმომადგენლები (ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები, აფხაზები, გერმანელები, პოლონელები, ქურთები, ასურელები და სხვა ეთნოსის შვილები).

საქართველოს სტაბილურობა და განვითარება, სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად, დიდწილად არის დამოკიდებული ეთნოსთაშორისი ურთიერთობის გონივრულად დაგეგმვასა და წარმართვაზე, რაშიც თავისი წილი პასუხისმგებლობა, სახელმწიფო უწყებებთან ერთად, აკისრია ყველა მოქალაქეს, – განაცხადა პოღოსიანმა.

ის შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ჩვენს მეზობელ ქვეყნებს შორის არსებული დაპირისპირება საქართველოს მოქალაქეებსაც გადაედო.

– ბოლო პერიოდში საქართველოს მეზობელ ქვეყნებს შორის ათწლეულების განმავლობაში მიმდინარე დაპირისპირება, გარკვეულწილად გადმოედო ჩვენ თანამოქალაქეების ერთ ნაწილს, რომელთა შორისაც გავრცელდა ეთნიკური ნიშნით ერთმანეთთან დამაპირისპირებელი მოსაზრებები.

სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის საქართველოს მოქალაქეებს შესაძლოა გარკვეული ემოციური ბმა ჰქონდეთ თავთავიანთი ეთნოსების სახელმწიფოებთან, მაგრამ ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, ყველანი ვართ საქართველოს შვილები და ჩვენ საქმიანობაში უნდა ვხელმძღვანელობდეთ საქართველოს სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებით. ჩვენი მრავალეთნიკური ქვეყნის ყველა მოქალაქემ, ცხოვრების ყველა სფეროში, ჩვენი ქვეყნის წინაშე უნდა ვიტვირთოთ საკუთარი წილი პასუხისმგებლობა. საქართველოს ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელმა უნდა გაითავისოს, რომ არავის აქვს არც მორალური და არც იურიდიული უფლება უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენოს ჩვენი ქვეყანა და ნებსით თუ უნებლიეთ ხელი შეუწყოს საქართველოს ჩართვას რომელიმე კონფლიქტში, – აღნიშნავს დეპუტატი.

საქართველოს პარლამენტის წევრი ყველას აფრთხილებს, რომ არ დაუშვან ეთნიკური კონფლიქტი. მისი თქმით, ბოლო წლების პრაქტიკამ აჩვენა, რომ ასეთი კონფლიქტი ერთხელ მაინც თუ დაიწყო, მისი მოგვარება შეუძლებელია.

– მრჩება შთაბეჭდილება, რომ გარეშე ძალები ცდილობენ საქართველოში ეთნიკური კონფლიქტის გაჩაღებას. ეთნიკური კონფლიქტისთვის სხვა ნეგატიურთან ერთად ისიც არის დამახასიათებელი, რომ ათწლეულების განმავლობაში არ დაფიქსირებულა უკვე დაწყებული ეთნიკური კონფლიქტის მოგვარების პრეცედენტი. ჩვენ, საქართველოს შვილებმა, ყველამ ერთად, ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისთვის, რომ არც ერთ ეთნიკურ კონფლიქტში არ აღმოჩნდეს საქართველო ჩართული. ჩვენ ერთად უნდა ჩამოვაყალიბოთ და გავაძლიეროთ ჩვენი სამშობლო, ყველამ ერთად შევქმნათ საქართველოს თანამედროვე განვითარებული სახელმწიფო და საზოგადოება.

საქართველოს ყველა ეთნოსის წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ, ეთნოსთაშორისი დაძაბულობის შემცველ არც ერთ ქმედებას არ ავყვეთ და ყველაფერი ვიღონოთ, რათა ჩვენ ქვეყანაში იყოს სამოქალაქო თანხმობა, ეთნოსთა შორის მშვიდობა, კეთილგანწყობა და თანამშრომლობა, – ამბობს რუსლან პოღოსიანი.

# ინალ არძინბა ისევ გააქტიურდა

## ალექსანდრე ანქვაბზე კიდევ ერთი იერიში მიიტანეს

მარიამ მჭედლიშვილი

„საპრეზიდენტო“ არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ოკუპირებულ აფხაზეთში მღელვარება მატულობს.

საოკუპაციო რეჟიმი და პროცესები კრემლიდან იმართება, თუმცა ეს რეგიონი მაინც გამოირჩევა პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სიმრავლით და არც პოლიტიკური დაპირისპირების ნაკლებობას განიცდის.

2014 წელს აქციების შედეგად გადაყენებული პრეზიდენტი, მრავალტერაქტგადატანილი ალექსანდრე ანქვაბი ასაკობრივი ცენზის გამო არჩევნებში არ მონაწილეობს. იგი ამჟამად პარლამენტის რიგითი წევრია, თუმცა, მასზე თავდასხმები არ წყდება.

ანქვაბზე მორიგი იერიშის საბაბი აფხაზეთში ნახშირწყალბადების კვლევა და მოძიება-მოპოვების საკითხის განხილვა გახდა.

აფხაზეთის სანაპიროზე ნავთობის მარაგის არსებობის თაობაზე ინფორმაცია რეგიონის საზოგადოებაში სიხარულს არასდროს იწვევდა. აფხაზეთის მოსახლეობას არ უნდა, რომ საკურორტო მხარეში ნავთობის რეწვა დაიწყოს და აფხაზეთი ნავთობმა დააბინძუროს. აფხაზეთის ლიდერები ამ საკითხს ყოველთვის ფრთხილად უდგებოდნენ.

აფხაზეთის სახალხო კრების დარგობრივმა კომიტეტმა ნახშირწყალბადების საკითხის შესწავლა გადაწყვიტა. ამაზე სპეციალური ჯგუფი იმუშავებს. განხილვისას სკანდალური განცხადება გააკეთა დეპუტატმა ალმას ჯოპუამ.

მის მიერ გახმაურებული დაუზუსტებელი ინფორმაციით, ყოფილი პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი, ყოფილი პრემიერი ლეონიდ ლაკერბაია და მაშინდელი მთავრობის სხვა წევრები



დიდ შარში არიან გახვეული. კერძოდ, ისინი გაურიგდნენ ნავთობის კომპანიებს რუსეთიდან. მათ შექმნეს კორუფციული სქემები, რომელთა ბენეფიციარებიც არიან.

ამ განცხადებამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ბრალდებების ადრესატებმა კი ის სერიოზულად არ მიიჩნიეს. საზოგადოებრივი ორგანიზაცია „აიტაირას“ სახელით ითქვა, რომ ალმას ჯოპუას ეს ნააზრევი პასუხის გაცემას არ იმსახურებს.

ამ დღეებში მშობლიურ აფხაზეთზე კომენტარები გააკეთა მოსკოვში დაწინაურებულმა სახელმწიფო მრჩეველმა, რუსეთის საპატრიარქოსთან არსებული საბჭოს ხელმძღვანელმა ინალ არძინბამ.

არსებობს ვარაუდი იმის თაობაზე, რომ კრემლს „პრეზიდენტად“, ანუ ხაჯიმბას შემცვლელად ინალ არძინბა უნდა.

არძინბა არ ადასტურებს ინფორმაციას მისი აფხაზეთში შესაძლო დაბრუნების თაობაზე და აცხადებს, რომ აფხაზეთს მოსკოვიდან დაეხმარება. ეს მის დაბრუნებას მშობლიურ აფხაზეთში მაინც არ გამორიცხავს.

ინალ არძინბამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ დღეებში სოჭში მიმდინარე საინვესტიციო ფორუმში. მასზე ოკუპირებული აფხაზეთისა და რუსეთის კრასნოდარის მხარის ადმინისტრაციებმა განიხილეს 2019-21 წლებში ეკონომიკის, განათლებისა და სხვა სფეროებში დაგეგმილი ღონისძიებები. ერთ-ერთი სფერო კაზაკობაა.

ეტყობა, რუსეთში მიიჩნევენ, რომ კაზაკებს ოკუპირებულ რეგიონში განსაკუთრებული მზრუნველობა ესაჭიროებათ. აფხაზეთში ამაზე სხვა პოზიცია არსებობს. აფხაზეთის ე. წ. „დამოუკიდებლობის“ დღისადმი მიძღვნილ პროგრამაში კაზაკების აღლუმმა აფხაზეთის საზოგადოებაში აღშფოთება გამოიწვია. ამ ადამიანებისათვის კაზაკები იმ იმპერიის მემკვიდრეები არიან, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობისას ადგილობრივ მოსახლეობას ხოცავდა და აზიის სახელმწიფოებში ასახლებდა.

ოკუპირებულ აფხაზეთში ქართველებიც დისკრიმინაციულ მდგომარეობაში არიან. იმავდროულად, არსებობს აფხაზების იდენტობის



დაკარგვის საფრთხე.

ამას აცნობიერებს მოსკოვში მომუშავე ინალ არძინბა.

– ჩვენი იდენტობის შენარჩუნება უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ჩვენი საზოგადოება იცვლება, ეს ცვლილებები კი ყოველთვის არ არის დაფუძნებული ტრადიციებზე. ტრადიციული ფასეულობების აღორძინება ის ამოცანაა, რომლის გარშემო აუცილებელია გაერთიანება, – აღნიშნავს კრემლის ფავორიტი.

ინალ არძინბას თქმით, აფხაზეთისათვის უპირველესი ამოცანა კანონისა და მართლწესრიგის უზენაესობაა. საჭიროა სამართალდამცავი სისტემის გაძლიერება. აფხაზეთს უნდა ჰქონდეს კეთილსინდისიერი და პასუხისმგებლიანი პარტნიორის რეპუტაცია.

აფხაზეთის „საპრეზიდენტო“ არჩევნებისათვის, მოქმედი დეფაქტო პრეზიდენტის, ხაჯიმბას გარდა, მალე გამოიკვეთებიან სხვა კანდიდატები. იმ გალელი ქართველების ხმები, რომლებსაც ამჟამად აფხაზებად წერენ, დიდი ალბათობით, ხაჯიმბას ყულაბას შეავსებს.

# „ივანიშვილს არც ხაზარაძის ჩაძირვა უნდა და არც ანაკლიის პროექტის“

## პეტრე მამრაძე: „ხაზარაძის წინააღმდეგ ხელისუფლების კლანები მოქმედებენ“

გულიკო ბალაძე

საქართველოს მთავარ პროკურატურაში თიბისი ბანკთან დაკავშირებით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს. აქვს თუ არა ამ საკითხს პოლიტიკური შემადგენელი? ვინ არის დაინტერესებული ამ საქმის წინ წამოწევით? თიბისი ბანკის ჩაძირვა შედის თუ არა პარტია „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილის ინტერესებში? – ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ყოფილ დეპუტატ პეტრე მამრაძეს ესაუბრა.



***– ბატონო პეტრე, როგორ აფასებთ თიბისი ბანკთან დაკავშირებით შექმნილ ვითარებას? აქვს თუ არა ამ საკითხს პოლიტიკური შემადგენელი?***

– პოლიტიკური მდგენელი ნამდვილად არსებობს. პოლიტიკური მდგენელი რომ არ არსებობდეს, 11 წლის წინანდელ საქმეს უცებ წინ არ წამოწევდნენ. სულ მალე ხელი ეწერება დიდი პროექტს, რომელშიც ჩართულია ბანკი და პიროვნულად მამუკა ხაზარაძე. ანაკლიის პორტი მაქვს მხედველობაში. ეს ადამიანებში მაშინვე იწვევს კითხვას, ვინმეს ხომ არ აქვს განზრახული, რომ ეს დიდი პროექტი ჩაშალოს, ან თვითონ ხაზარაძე ჩამოაშოროს პროექტს.

***– თუ არ უნდოდათ ხაზარაძის მონაწილეობა, მაშინ თავიდანვე რატომ დაუშვეს თიბისი ბანკისა და მამუკა ხაზარაძის ამ დიდ პროექტში ჩართვა? მით უფრო, მის მიმართ პრეტენზიები არსებობს, რომ სააკაშვილთან შეთანხმებით ვილაცებს აკოტრებდა. მაგალითად, „ტექნობუმის“ დამფუძნებელი ანზორ ქოქოლაძე მას სასამართლოშიც კი უჩივის.***

– მე ვთქვი, ბუნებრივია, რომ ასეთი ეჭვები უჩნდებათ ადამიანებს. მე არ მითქვამს, პირადად მე მაქვს ეჭვი, მაგრამ სიტუაცია შევაფასე – ბუნებრივია, ეჭვი უჩნდებათ. რაც შეეხება იმას, რატომ დაუშვეს ხაზარაძის ჩართვა ამ პროექტში. კონტრპასუხი მაქვს, ვინ არის ის, ვისაც შეეძლო დაეშვა, ან არ დაეშვა? დღევანდელი მართვის სისტემის პირობებში ასეთი ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი არ არსებობს. თვითდინებაზეა გადასული პროცესები.

მერე უკვე შიგნით თუ გამოიკვეთა ჯგუფი, რომელსაც უნდა მეორე ჯგუფის ჩამოშორება, თუ მას აქვს საკმარისი გავლენა და მოქმედებს, მაშინ შეიძლება რაღაც-რაღაცები მოიმოქმედოს, თუმცა, როგორც ბადაგონის შემთხვევაში, საბოლოო ინსტანცია არსებობს და თუ ეს ინსტანცია ჩაერთვება ივანიშვილის სახით, მაშინ შეიძლება ვითარება უცებ შეიცვალოს.

ბადაგონი არა მარტო გადარჩა, არამედ, ამას წინათ, მგონი, მსოფლიო ღვინოების ათეულში მოხვდა. არადა, საქმე გაკოტრებისკენ მიჰყავდათ ვილაცებს, ვისაც უნდოდა მისი ხელში ჩაგდება.

თიბისი ბანკთან დაკავშირებითაც იგივეა. რაშიც მე პირადად ვარ დარწმუნებული, ისაა, რომ ივანიშვილს არანაირი პირადი ინტერესი არ აქვს არც იმისა, რომ ვთქვათ, რომ პირადად ხაზარაძე ჩამოაშოროს და პროექტი ჩაშალოს.

***– ამ დროს ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ბიძინა ივანიშვილმა ხაზარაძეს და ჯაფარიძეს წილების დათმობა მოსთხოვა, თუმცა, ჯაფარიძემ ეს კატეგორიულად უარყო.***

– ამ ინფორმაციას ივანიშვილს უვრცელებენ პირადად სააკაშვილი და სააკაშვილის თანამზრახველები, მაგრამ ამ ინფორმაციას არავითარი საფუძველი არ აქვს, ვინაიდან ივანიშვილს საქართველოში თავისი არანაირი ფინანსური და ეკონომიკური ინტერესები არ გააჩნია. ეს თვითონაც იციან, მაგრამ მაინც ავრცელებენ.

მე შემიძლია საზოგადოებას შევახსენო ის პოლიტიკური სილა, რომელიც სააკაშვილს თითქოსდა მისმა მეგობარმა სენატორმა ჯონ მაკეინმა გააწნა. მაკეინი საქართველოში 2012 წლის ზაფხულში ჩამოვიდა. მაკეინსა და სააკაშვილს ერთობლივი პრესკონფერენცია ჰქონდათ. სააკაშვილმა ილაპარაკა, აი, პუტინმა გამოგზავნა ოლიგარქი, პუტინმა მისცა ფული ივანიშვილს, რომელიც ახლა მუშაობს საქართველოს წინააღმდეგ. თითქოს ეს ის ივანიშვილი არ ყოფილიყოს, რომელიც სააკაშვილის დროს საქართველოსთვის მილიონებს და ჯამში მილიარდზე მეტს არ ხარჯავდა. იმ ფულს აძლევდა სააკაშვილის მთავრობას.

***– შევარდნაძის დროსაც ხარჯავდა.***

– შევარდნაძის დროს გაცილებით ნაკლებს, მაგრამ ნამდვილად ხარჯავდა. სააკაშვილის დროს ივანიშვილი თავდაცვის, შს სამინისტროს თუ განათლების სისტემის რეფორმისთვის ძალიან დიდ ფულს იძლეოდა. შევარდნაძის დროს ასე არ იყო, რადგან კორუფციას ხედავდა. მაკეინმა მაშინ თქვა, ჩვენ, ამერიკელებმა, გულდასმით შევამოწმეთ ყველაფერი ივანიშვილის გარშემო, რაც მას ეხება და დავადგინეთ, რომ არავითარი რუსული ფული და რუსული გავლენა და რუსული ხელი ამ კაცის უკან არ დგას. სააკაშვილი თავჩაღუნული იდგა, რადგან მაკეინთან იქ კამათს არ დაიწყებდა, გაბითურდებოდა.

მიუხედავად ამისა, რაღაცებს ავრცელებენ და ავრცელებენ. ერთხელ შევესწარი მამაკაცების კომპანიას, რომელიც მსჯელობდა იმაზე, რომ ივანიშვილმა თავის დროზე მარგველაშვილი იმიტომ გარიყა, რომ აპირებდა ავლაბრის სასახლის ყიდვას ბერასთვის და ბერას ცოლისთვის. ახლა უკვე ვერაფერი დაუდგება წინ, იყიდის იმ სასახლეს და ბერას და მის ცოლს აცხოვრებსო.

ეს იგივეა, მე რომ მეუბნებიან, რომელიც შევარდნაძის მანქანაში ვიჯექი აფეთქების დროს, რომ აფეთქება არ ყოფილა, ყველაფერი დადგმული იყო და შევარდნაძე, საერთოდ, არ იყო იმ მანქანაში. ამ დროს მე იმ მანქანაში ვიჯექი და ყველაფერი გადავიტანე სხვებთან ერთად. არაფერს ვეუბნები, რა უნდა ველაპარაკო!

***– პოლიტიკური შემადგენელი არსებობსო, რომ ამბობთ, ვისგან მოდის ეს ინტერესი?***

– ძალიან კარგად მახსოვს, ედუარდ შევარდნაძეს ზოგიერთი მინისტრი და არამინისტრი როგორ ეუბნებოდა, რა ვქნათ, ბატონო ედუარდ, აგერ „რუსთავი-2“ არ იხდის გადასახადს და სისხლის სამართლის დანაშაულს ჩადის. აგერ აპარატურა შემოიტანეს 200 ათასი დოლარის, კაპიკს აღარ იხდიან, თითქოს მათზე კანონი არ ვრცელდებოდეს და რა ვქნათო.

ამ დროს რატომ ეკითხები პრეზიდენტს, როცა კანონი გავალდებულებს, რომ კანონი დაიცვა. შევარდნაძეს აყენებდნენ იმ მდგომარეობაში, რომ ეთქვა, ნუ დაიცავთ კანონს და მიეცით საშუალება, არ გადაიხადონო. შევარდნაძე მაშინ მათ ეუბნებოდა, დარწმუნებული ხართ? თქვენი დოკუმენტაცია ნამდვილად შეესაბამება სინამდვილეს? სასამართლოს შემთხვევაში დაასაბუთებთო? კი, ყველა საბუთი გვაქვსო და ასე შევარდნენ „რუსთავი-2-ში“. კორუმპირებული ადამიანების ინტერესი იყო, ვისაც არ აწყობდა მაშინდელი გადაცემები.

ახლა გავიხსენოთ ივანიშვილის შარშანდელი ინტერვიუ, როცა ივანიშვილმა გულწრფელად თქვა, ცუდად ვიყავი, როცა გაეროს ბავშვთა ფონდმა გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ ხალხი უფრო გაღარიბდა. კიდევაც ვუთხარი კვირიკაშვილს, რომ ორმა ბანკმა გადაჭამა ქვეყანაო.

***– დიახ, ორ ბანკზე მიუთითებდა, საქართველოს ბანკსა და თიბისი ბანკზე.***

– ამის შემდეგ შედგა პარტიის პოლიტსაბჭოს სხდომა, საიდანაც გამოვიდა ინფორმაცია და დაიბეჭდა, რომ იქ პირდაპირ უყვირა კვირიკაშვილს, თქვენ და მამუკა ხაზარაძემ შეჭამეთ ეს ქვეყანა და მთელი ქვეყანა ახლა ვალებშიაო.

***– ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის პროექტთან დაკავშირებული კვირიკაშვილი აღარ არის პოლიტიკურ ასპარეზზე. ესეც, ალბათ, ნიშანდობლივია.***

– დიახ. ამის შემდეგ ხაზეინს რომ აღარ მოსწონს ვილაც, ახლა მას მე წავაქცევ.

***– ვისთვის წააქცევს?***

– თავისთვის და არა საქართველოს ინტერესებისთვის. ზუსტად ბადაგონის სიტუაციაა. ბადაგონზე ხომ ეუბნებოდნენ ივანიშვილს, აგერ იმხელა ვალები აქვს, აგერ კაცმა მოიგო სასამართლო და რა ვქნათ? ასე მოქმედებდნენ ბადაგონის წინააღმდეგ. მერე გამოჩნდა, რომ სხვანაირად არის.

***– თიბისი ბანკთან დაკავშირებით რაშიც ედავებიან, მძიმე დანაშაულია და ხანდაზმულობის ვადა არ აქვსო. თუკი მართლა ჩადენილია დანაშაული, სამართლიანობის აღდგენა რა არის? მხოლოდ ის ხომ არ არის, ვიღაც კონკრეტულ ადამიანს ქონება წაართვეს და დაუბრუნო.***

– რა თქმა უნდა. გუნდში სახელმწიფო მიდგომა რომ ყოფილიყო, მაშინ გაკეთდებოდა მმართველი პროკურატურა. პროკურატურა ამ შემთხვევაში ისეთ დავალებას ასრულებს, როგორც ასრულებდა დავალებას „ჰაკიმ ფაშას“ ავანტიურის დროს, როდესაც ხანდაზმული ექსპერტი ლევან ჩაჩუა უდანაშაულოდ ციხეში ჩასვეს.

***– ახლა ვის დავალებას ასრულებს პროკურატურა?***

– სახელებს და გვარებს ვერ ვიტყვი.

***– ბიძინა ივანიშვილს გამორიცხავთ?***

– ბიძინა ივანიშვილს გამოვრიცხავ აბსოლუტურად, ნახავთ ახლა, რაც მოხდება.

***– ანუ ხელისუფლებაში არიან კლანები, რომლებიც დაინტერესებული არიან ხაზარაძის ჩაძირვით?***

– დიახ. ზოგი უშუალოდ ხელისუფლებაში არ არის, მაგრამ გავლენიანია. მე ნამდვილად ვიცი, მთელი ჭიდაობა დასჭირდათ ამერიკელებს, სანამ თავისი მენეჯმენტი არ დასვეს. ამერიკელები ამბობდნენ, თუკი ჩვენი მენეჯმენტი არ იქნება, თანხას არ ჩავდებთ. მათ არ აქვთ რწმენა და გარანტია იმისა, რომ პატიოსნად წარმართავენ საქმეს ბიზნესის სასარგებლოდ და არ იმოქმედებენ პირადი ინტერესებისთვის.

არც საპარტნიორო ფონდი სარგებლობს იმ ავტორიტეტით, რომელიც ამაში დაარწმუნებდა ადამიანებს. კლანები არსებობს, ბრძოლა არის.

***– მამუკა ხაზარაძე ამბობს, რომ სამართლიანობისთვის ბოლომდე იბრძოლებს.***

– მამუკა ხაზარაძესაც პირადად ვიცნობ და ბადრი ჯაფარიძესაც. მათ ვუსმინე, პრესკონფერენცია ჩაატარეს და წარბშეუხრელად თქვეს (ადამიანი უკან კი არ იხევს), რომ ამ საკითხზე არსებობს აუდიტორული დასკვნა მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი უცხოური იურიდიული კომპანიისა, რომელიც ამბობს, რომ ყველაფერი გაკეთდა კანონიერად.

***– ამავე დროს, ხაზარაძე აცხადებს, რომ დიალოგისთვის მზად არის. ეს რას ნიშნავს?***

– ხაზარაძემ, რომელმაც ბიზნესი დაიწყო რთულ დროში და მოვიდა დღემდე, ძალიან კარგად იცის, რომ დაპირისპირება (თუნდაც 100%-ით მართალი იყო) ხელისუფლებასთან და ხელისუფლებაში მყოფ ძალიან გავლენიან კლანებთან, საბოლოოდ ჯამში, კარგს არაფერს მოიტანს.

ამიტომ ამბობს, რომ თავის პოზიციას ნებისმიერ დონეზე დაიცავს და მთავარია, საქართველოს ამის გამო დიდი ზარალი არ მიადგეს.

# ირაკლი ლექვინაძე: „უწყებებში, რომლებსაც უშუალო შეხება აქვთ ბიზნესთან, უნდა დაინერგოს ან გაძლიერდეს მედიაცია“



– დღეს ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელსაც კერძო სექტორი სვამს საქართველოს ბიზნესგარემოსთან მიმართებაში, არის დავების სწრაფი და ეფექტიანი გადაწყვეტა. ამ გამოწვევის პასუხია არბიტრაჟის ჩამოყალიბება და მედიაციის, როგორც საკითხის გადაწყვეტის გზის დანერგვა, – ამის შესახებ საქართველოს ბიზნესომბუდსმენმა ირაკლი ლექვინაძემ პროექტის „მედიაციისა და არბიტრაჟის გაძლიერება კომერციული დავების უფრო სწრაფი და ეფექტიანი გადაწყვეტისთვის“ პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

„მედიაციისა და არბიტრაჟის გაძლიერება კომერციული დავების უფრო სწრაფი და ეფექტიანი გადაწყვეტისთვის“ ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი პროექტია და საქართველოში დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების განვითარებას ემსახურება.

– ბიზნესომბუდსმენის ინსტიტუტი არის მედიაციის რგოლი კერძო სექტორსა და სახელმწიფო უწყებებს შორის. ჩვენ ვეხმარებით მხარეებს მიაღწიონ შეთანხმებას უფრო სწრაფად და ნაკლებ დროში, ვიდრე ისინი ამას დამოუკიდებლად შეძლებდნენ. ბიზნესისთვის მედიაციის გზით დავის მოგვარება ეფექტურია, რადგან მედიაცია საშუალებას იძლევა, კონფლიქტი გადაწყდეს მოკლე დროში – ორმხრივი კომპრომისის საფუძველზე, გაჭიანურებული სასამართლო პროცედურისა და ზედმეტი ფინანსური დანახარჯების გარეშე. ჩვენ რეკომენდაციით მივმართავთ ადმინისტრაციულ ორგანოებს უწყებებში, რომლებსაც უშუალო შეხება აქვთ ბიზნესთან, დანერგონ ან გააძლიერონ მედიაციის მიმართულებები, – განაცხადა ირაკლი ლექვინაძემ.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, საქართველოს მთავრობასთან, სასამართლო სისტემასთან, კერძო სექტორთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მჭიდრო თანამშრომლობით, ევროკავშირი და UNDP ხელს შეუწყობენ კომერციულ დავებში მედიაციისა და არბიტრაჟის გამოყენებას, ქართველი მედიატორებისა და არბიტრების პროფესიულ განვითარებას, საქართველოში ბიზნესგარემოს გაუმჯობესებასა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდას.

საქართველოში დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების მხარდაჭერის ახალი ფაზა 2019-2020 წლებში განხორციელდება, ხოლო მისი ბიუჯეტი 850 ათასი ევროა. პროგრამა შესრულდება ევროკავშირის ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამის EU4Business ფარგლებში და წვლილს შეიტანს საქართველოს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში.

# რას ვყიდულობთ და ვყიდით რუსეთში



დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის მიუხედავად, რუსეთი საქართველოს ერთ-ერთ მთავარ სავაჭრო პარტნიორ ქვეყნად რჩება. კერძოდ, 2019 წლის იანვარში, საქართველოს 10 უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას შორის რუსეთი მესამე ადგილზე იმყოფებოდა, რომელთანაც სავაჭრო ბრუნვის მოცულობამ საანგარიშო პერიოდში 88.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

„ბიზნესპრესნიუსი“ გთავაზობთ იმ ტოპ-5 პროდუქტს, რომელსაც ყველაზე დიდი რაოდენობით ვყიდით რუსეთში და ასევე, რომელიც იქიდან შემოგვაქვს. მიმდინარე წლის იანვარში საქართველოდან რუსეთში გატანილი უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფი იყო – ყურძნის ნატურალური ღვინოები, რომლის ექსპორტმაც 10.3 მლნ დოლარი შეადგინა; მას მოსდევს ფეროშენადნობები – 9.1 მლნ დოლარით; მე-3 ადგილზე კი 4.4 მლნ დოლარით მინერალური და მტკნარი წყლებია; ხოლო მე-4 და მე-5 პოზიციებს ცენტრიფუგები და სპირტიანი სასმელები იკავებენ, შესაბამისად, 2.02 მლნ და 1.99 მლნ დოლარით.

რაც შეეხება რუსეთიდან იმპორტს, უმსხვილესი საიმპორტო ჯგუფი ნავთობი და ნავთობპროდუქტები იყო. კერძოდ, გასულ თვეში საქართველოში რუსეთიდან 8.6 მლნ დოლარის ღირებულების აღნიშნული პროდუქტი შემოვიდა. მე-2 ადგილზეა – ხორბალი და მესლინი, რომლის იმპორტმაც 5 მლნ დოლარი შეადგინა; მას კი 4.2 მლნ დოლარით ქვანახშირის კოქსი და ნახევარკოქსი მოსდევს. რუსეთიდან საიმპორტო პროდუქტების ტოპ ხუთეულში მე-4 და მე-5 პოზიციებს ქვანახშირი, ქვანახშირისაგან მიღებული მყარი საწვავის სახეობები და სატელეფონო აპარატები ინაწილებენ, შესაბამისად, 3.1 მლნ და 2 მლნ დოლარით.

ბპნ.გე

# მოკლულ ზვიად ჯაფარიძეს კონფლიქტი ჰქონდა ბესო ბიძინაშვილთან

## რა მოხდა ვერცხლის და დიუმას ქუჩებზე

19 თებერვალს ვერცხლის ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის შესახებ „ახალი თაობა“ უკვე წერდა. გუშინ ამ საქმესთან დაკავშირებით ახალი დეტალები გაირკვა.

19 თებერვალს, დაახლოებით 5 საათზე, ადგილობრივებმა სროლის ხმა გაიგეს. ქუჩაში ფეხით მიმავალი ზვიად ჯაფარიძე ავტომობილიდან ჩაცხრილეს. 7 ტყვიიდან ბოლო საკონტროლო იყო. მას სასიკვდილო ჭრილობა სახის არეში აქვს მიყენებული. ის ადგილზე სასწრაფო დახმარების მისვლამდე გარდაიცვალა.

ჯაფარიძე წარსულში რამდენჯერმეა ნასამართლევი. მკვლელობის ერთ-ერთი ვერსია, რომელზეც პოლიცია მუშაობს, კრიმინალურ გარჩევას უკავშირდება. არსებობს ვარაუდი, რომ ჯაფარიძეზე შური იძიეს.

სროლის წინ ვერცხლის ქუჩაზე ჩხუბის ხმა არ გაუგიათ. ერთ-ერთი ვერსიით, თავდამსხმელები ჯაფარიძეს აედევნენ და მაშინ, როდესაც ის ვერცხლის ქუჩიდან კოტე აფხაზის ქუჩის მიმართულებით გადაადგილდებოდა, მანქანიდან ესროლეს და მანქანითვე მიიმალნენ.

რუხი ფოლკსვაგენი, რომლითაც თავდამსხმელები გადაადგილდებოდნენ, პოლიციამ მიმდებარე ტერიტორიაზე მიტოვებული ნახა.

თავდამსხმელების მანქანიდან გადმოსვლა, სავარაუდოდ, ანტონ კათალიკოსის ქუჩაზე მდებარე სათვალთვალო კამერამ დააფიქსირა.

კურიერის ინფორმაციით, მოკლული ზვიად ჯაფარიძე 1991, 2006, 2013 და 2016 წლებში ოთხჯერ, ყაჩაღობის ქურდობის, გამოძალვის და ნარკოტიკული საშუალებების შეძენა და შენახვის ბრალდებით არის ნასამართლევი.

კურიერის ცნობით, მკვლელობას ვერცხლის ქუჩაზე წინ უძღოდა დაპირისპირება და გასროლა დიუმას ქუჩაზე, რომლის დროსაც ერთი ადამიანი დაიჭრა.

ინფორმირებული პირი კურიერს უყვება, რომ მოკლულ ზვიად ჯაფარიძეს კონფლიქტი ჰქონდა მოქალაქე ბესო ბიძინაშვილთან.

როგორც ირკვევა, საქმის გარჩევა დაპირისპირებაში გადაიზარდა, რომლის დროსაც ბიძინაშვილი მძიმედ დაჭრეს. ის ახლა რესპუბლიკურ საავადმყოფოშია მოთავსებული, თუმცა ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო პოლიციას დაზარალებული ჯერ არ დაუკითხავს. ის მართვით სუნთქვაზე იმყოფება.

თბილისის ტურისტულ ზონაში 19 თებერვალს ორი სისხლიანი გარჩევა მოხდა, რომლის დროსაც ერთ ადამიანი დაიჭრა, ერთი კი მოკლეს.

რესპუბლიკური საავადმყოფოს კლინიკური დირექტორის დევი ტაბიძის ინფორმაციით, დაჭრილ მამაკაცს ოპერაცია ჩაუტარდა და ამჟამად მართვით სუნთქვაზეა.

– გუშინ შემოიყვანეს 42 წლის მამაკაცი, რომელსაც ცეცხლსასროლი იარაღით ჰქონდა მიყენებული მრავლობითი ჭრილობები. მისი ამჟამინდელი მდგომარეობა არის საშუალოზე მძიმე, იმყოფება მართვით სუნთქვაზე.

შემოყვანისთანავე ჩაუტარდა პირველადი სასწრაფო სამედიცინო დახმარება, შემდგომ – ოპერაცია. დაზიანებული იყო შინაგანი ორგანოები, ჭრილობები ძირითადად მუცლის ღრუშია.

მამაკაცი ჯერჯერობით მართვით სუნთქვაზეა, ჰემოდინამიკა კი სტაბილურია. ვნახოთ, 1-2 დღის შემდეგ როგორი მდგომარეობა იქნება, – აღნიშნა ტაბიძემ „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში.



საქმის ძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

## ორსულმა არასრულწლოვანმა 2 ბიჭთან ერთად წერეთელზე მაღაზია გაქურდა



წერეთლის გამზირზე ელექტრობუხრების მაღაზია გაქურდეს. წაღებულია ლეპტოპი და საბუთები.

როგორც მაღაზიის კონსულტანტი ყვება, ვიდეოჩანაწერში ჩანს, რომ ქურდობა სამმა არასრულწლოვანმა ჩაიდინა, მათ შორის ერთი ორსული გოგონა იყო.

– დათვალიერების შედეგად იყო წაღებული ლეპტოპი. კამერა, რომელი უყურებდა კარს, იყო ქვემოთ დაწეული. სავარაუდოდ, წუთნახევარზე მეტი არ იყვნენ გაჩერებულები. იყო რამდენიმე დოკუმენტი წაღებული და მიყრილ-მოყრილი იყო ყველაფერი, – ამბობს მაღაზიის კონსულტანტი.

## ძარცვისთვის ბრალდებულს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა



თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ძარცვისთვის ბრალდებული რ.ბ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისთვის ორჯერ ნასამართლევმა რ.ბ-მ 2017 წლის 9 მარტს, ქ.თბილისში, დ.გ-ს მობილური ტელეფონი წაართვა და მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა.

სამართალდამცველებმა რ.ბ. 2017 წლის 10 მარტს ქ.თბილისში დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარედგინა (ძარცვა, იმის მიერ, ვინც ორჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისთვის) და აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ რ.ბ. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 7 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

## ზუგდიდში დედა-შვილს მანქანა დაეჯახა

### ქალს ბავშვი ეჭირა და წითელზე გადადიოდა

გუშინ, 20 თებერვალს, ზუგდიდის ცენტრში, კოსტავასა და რუსთაველის ქუჩის კვეთაზე მდებარე შუქნიშანთან დედა-შვილს მსუბუქი ავტომანქანა დაეჯახა.

დაშავებულები სასწრაფო დახმარების სამსახურმა ზუგდიდის რეფერალურ ჰოსპიტალში გადაიყვანა. მათ და-



ზიანებები ფეხის და თავის არეში აღენიშნებოდათ. თვითმხილველების ინფორმაციით, ქალს ბავშვი ხელში ეჭირა და წითელზე გადადიოდა.

მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

## შსს-მ პატრულ-ინსპექტორი დააკავა



შინაგან საქმეთა სამინისტრომ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით პატრულ-ინსპექტორი დააკავა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს – პატრულ-ინსპექტორი, მესაზღვრე-კონტროლიორი ქ. ჩ. დააკავეს. ჩადენილი დანაშაული 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“ – აცხადებენ შსს-ში.

## იაგო ნებიერიძის პროცესი დღეს რუსთავის მე-6 პენიტენციურ დაწესებულებაში გაიმართება



გორში 9 წლის ნანიკო ბერიაშვილის მკვლელობის საქმეზე ბრალდებული იაგო ნებიერიძის სასამართლო პროცესი ხვალ, რუსთავის მე-6 პენიტენციურ დაწესებულებაში გაიმართება.

სასამართლო პროცესი 14:00 საათზეა დანიშნული.

ხვალინდელ სასამართლო სხდომაზე მტკიცებულების დასაშვებობაზე იმსჯელებენ. პროცესის პენიტენციურ დაწესებულებაში ჩატარების გადაწყვეტილება მოსამართლემ მიიღო. აღნიშნულის მიზეზი, სავარაუდოდ, ბრალდებულის უსაფრთხოებაა.

გორში 9 წლის ნანიკო ბერიაშვილი 25 ოქტომბერს გაუჩინარდა. ის რამდენიმე საათში სამართალდამცველებმა გარდაცვლილი იპოვეს. განზრახ მკვლელობის ბრალდებით 33 წლის, წარსულში ნასამართლევი იაგო ნებიერიძე დააკავეს.

## გაგარინის აღმართზე ერთმანეთს 5 ავტომობილი შეეჯახა



თბილისში, გაგარინის აღმართზე, ვეფხისა და მოყმის ძეგლთან, ერთმანეთს ხუთი ავტომობილი შეეჯახა.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

ავტოსაგზაო შემთხვევის მიზეზად გზის საფარის მოყინვა სახელდება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ყველა მძღოლი ადმინისტრაციული ჯარიმით დაჯარიმდა.

## „ორთაჭალას ტურფას“ კორპუსის აივნებიდან გათბობის სისტემები მოიპარეს



„ორთაჭალის ტურფას“ საცხოვრებელ კომპლექსში 5 ბინა გაქურდეს, აივნებიდან მოხსნეს გათბობის სისტემები და მთელი ღამის განმავლობაში გაზი ღია სივრცეში იფრქვეოდა.

– აივნიდან არის ქვაბი წაღებული, გამათბობელი და თავისთავად გაზიც გამოდიოდა. ოღონდ ეს არის გარეთ, ანუ არც დახურულია არც არაფერი. შეიძლება მოსახლეობამ სუნი გაიგო. ქვაბი და ტელევიზორი წაიღეს, – აცხადებს ერთ-ერთი დაზარალებული „რუსთავი 2“-თან.

## ბათუმში სწრაფი ჩარიცხვის 14 აპარატის გაქურდვისთვის 1 პირი დააკავეს




პოლიციამ ბათუმში სწრაფი ჩარიცხვის 14 აპარატის გაქურდვის ფაქტი გახსნა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ქურდობისა და თაღლითობის ბრალდებით, 1992 წელს დაბადებული თ.ც. მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა ბათუმში, სხვადასხვა დროს, სწრაფი ჩარიცხვის 14 აპარატი გაქურდა. ბრალდებული იმავე აპარატების საშუალებით ინტერნეტტოტალიზატორ „ევროპაბეთის“ ანგარიშზე თანხების თაღლითური გზით გადარიცხვასაც ცდილობდა.

გამოძიება ქურდობის და თაღლითობის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე– 2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, ასევე, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“ – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## ეგვიპტის მოქალაქე ქირურგიის ეროვნულ ცენტრს უჩივის

ქირურგიის ეროვნულ ცენტრში მომხდართან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება 126-ე, ძალადობის მუხლით დაიწყო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში გამოკითხეს ინციდენტში მონაწილე პირები, დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზა.

ეგვიპტის მოქალაქე ვაგდია ელკორაე, რომლის მამაც ქირურგიის ეროვნულ ცენტრში მკურნალობს, დაცვის თანამშრომლებს ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაში ადანაშაულებს. ის აცხადებს, რომ მამამისს ექიმები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ და ამის გამო ჩივილს აპირებდა, რასაც მოჰყვა მის მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფა.

ქირურგიის ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები გავრცელებულ ინფორმაციას არ ეთანხმებიან. მათი თქმით, პაციენტის შვილი აგრესიული იყო.

კლინიკის წარმომადგენლებმა საპატრულო პოლიცია გამოიძახეს.

# აშშ-ს კოსმოსური ჯარები ეყოლება



პრეზიდენტმა ტრამპმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის ძალითაც, შეიქმნა კოსმოსური ჯარები.

მათი ამოცანა აშშ-ის უსაფრთხოების დაცვაა.

პრეზიდენტმა აღნიშნული ნაბიჯი მას შემდეგ გადადგა, რაც ამერიკის დაზვერვამ მას მიაწოდა ვრცელი ინფორმაცია რუსებისა და ჩინელების კოსმოსში საქმიანობის შესახებ.

– რუსეთი და ჩინეთი ჩვენი უმთავრესი მოწინააღმდეგეებია, – თვლიან ამერიკელი მზვერავები.

# ბარნი სანდერსს პრეზიდენტობა კვლავ სურს



ამერიკელ სენატორს, დემოკრატ ბარნი სანდერსს პრეზიდენტობა სურს.

ამის თაობაზე მან ჟურნალისტებს განუცხადა:

– მსურს 2020 წლის არჩევნებში დონალდ ტრამპი დავამარცხო, – აცხადებს სანდერსი.

სანდერსმა საპრეზიდენტო არჩევნებში ბედი ადრეც სცადა, მაგრამ პრაიმერში ჰილარი კლინტონთან დამარცხდა.

# სისხლიანი დრამა მარსელში



საფრანგეთის ქალაქ მარსელში სისხლიანი დრამა დატრიალდა. დანით შეიარაღებული პიროვნება გამვლელებს თავს დაესხა.

შედეგად რამდენიმე მოქალაქე დაიჭრა.

შემთხვევის ადგილას მივიდა პოლიცია. პოლიციელებმა მამაკაცს ცეცხლი გაუხსნეს.

თავდამსხმელი სასიკვდილოდ დაიჭრა.

# საფრანგეთში ებრაელთა საფლავები შეურაცხყვეს



საფრანგეთში უცნობმა პირებმა ებრაელთა სასაფლაო შეურაცხყვეს. საფლავებზე გერმანულ ენაზე უხამსი წარწერები გაჩნდა, შემდეგ კი სვასტიკაც გამოსახეს.

– ეს ნამდვილი ვანდალიზმია! ფრანგი ხალხი ამას არასოდეს შეეგუება! – განაცხადა პრეზიდენტმა მაკრონმა.

ამასთან დაკავშირებით ქვეყანაში ანტისემიტიზმის წინააღმდეგ საპროტესტო აქციები გაიმართა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# პუტინი: „ამერიკასაც ვესვრით, თუ დაგვჭირდა“



– საფრთხის შემთხვევაში, რუსეთი იარაღს ამერიკასაც დაუმიზნებს, – ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ქვეყნის პარლამენტის ორივე პალატის წინაშე ყოველწლიური სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისი თქმით, რუსეთი იარაღს არა მხოლოდ იმ ქვეყნებს დაუმიზნებს, სადაც აშშ საშუალო და მცირე მანძილის რაკეტებს განათავსებს, არამედ ამერიკასაც კი, საფრთხის შემთხვევაში.

ვლადიმერ პუტინმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთი სარკისებრ ზომებს მიიღებს თუ აშშ საშუალო და მცირე მანძილის რაკეტებს ევროპაში განათავსებს.

– ადრეც ვთქვი და გავიმეორებ, რომ რუსეთი არ აპირებს ევროპაში ამგვარი რაკეტების განთავსებას. თუმცა, თუ აშშ-ს ევროპაში ასეთი რაკეტების განთავსების გეგმები აქვს, ეს მკვეთრად გაამწვავებს სიტუაციას საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში და რუსეთისთვის სერიოზულ საფრთხეებს შექმნის, – განაცხადა პუტინმა.

# ყირიმთან უკრაინა-ნატოს ერთობლივი სამხედრო წვრთნები იწყება



ამერიკული ავიამზიდი დონალდ კუკი შავ ზღვაში კვლავ გამოჩნდა. წელს ის აქ მეორედ შემოვიდა.

ამერიკული ავიამზიდი უკრაინის სამხედრო საზღვაო ძალებსა და ნატოს სხვა ქვეყნებთან ერთად ყირიმთან დაგეგმილ სამხედრო წვრთნებში მიიღებს მონაწილეობას.

ეს წვრთნები რუსეთ-უკრაინის ურთიერთობების მორიგი გამწვავების ფონზე ტარდება. ყირიმიდან უკრაინის სამხრეთის რეგიონებსა და მარიუპოლზე დარტყმაა მოსალოდნელი, დონბასში კი შეტაკებებმა უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო.

დასავლეთმა ამ სწავლებებით რუსეთს ნათელი სიგნალი გაუგზავნა, რომ უკრაინა მარტო არ არის.

# ფსბ-ს ყოფილ თანამშრომელს 20 წელი ემუქრება




ფსბ-ს ყოფილ თანამშრომელს, პოლკოვნიკ მიხაილოვს, 20 წლით პატიმრობა ემუქრება.

მიხაილოვი და რამდენიმე ოფიცერი 2016 წელს დააპატიმრეს. მათ ბრალად ედებათ სახელმწიფოს ღალატი.

ახლა ყველა მათგანი სასამართლოს წინაშე წარდგა.

– მიხაილოვმა ამერიკელებს გადასცა საიდუმლო ინფორმაცია რუსი ჰაკერების შესახებ, – განაცხადა პროკურორმა.

# პოზნერმა ჩინელებს ბოდიში მოუხადა



რუსმა ტელეჟურნალისტმა ბასანოვამ ცნობილი ტელეწამყვანის, ვლადიმერ პოზნერის, საქციელი გააპროტესტა.

პოზნერმა პირდაპირ ეთერში ჩინელების მიმართ უხამსად იხუმრა და სათანადო ჟესტიც გააკეთა.

– მე, როგორც აზიელი და ციმბირის მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი, აღშფოთებული ვარ, – თქვა ბასანოვამ.

პოზნერმა ჩინელებს საჯაროდ ბოდიში მოუხადა. მან განაცხადა, რომ არავისი წყენინება არ სურდა.

– მე მხოლოდ ვიხუმრე და თუ უნებლიეთ ვინმეს ვაწყენინე, ბოდიშს ვიხდი, – თქვა პოზნერმა.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### სხვადასხვა

● ფოტოსურათით მოგიხსნით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ჯადო-თვალი-წყევლას, დეპრესიას, უიმედობას, შებოჭილობას, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, თვითმკვლელობის სურვილს და სხვა პრობლემებს. ტელ: 599-49-84-23 ნანა. ფირმა „იადიგარ დაუდი“.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართანებისმიერიპრობლემისმოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# სარის შანსი მანჩესტერ სიტია



ჩელსის თავკაცს, მაურისიო სარის რომ საქმეები კარგად არ მისდის, ყველასათვის ცნობილია. ლონდონური კლუბი ბოლო პერიოდში ცუდად გამოიყურება, პრემიერლიგაში ჩემპიონთა ლიგის ზონასაც დაშორდა და ამასწინათ ინგლისის თასიდანაც გამოვარდა.

ამის ფონზე არ წყდება მითქმა-მოთქმა, რომ სარის კარისკენ მიუთითებენ. უფრო მეტიც – უკვე მისი სავარაუდო შემცვლელებიც სახელდებიან. სიაში პირველ ადგილზე ზინედინ ზიდანია, ასევე არ გამორიცხავენ ფრენკ ლამპარდის მისვლასაც, რომელიც ამჟამად დერბის წრთვნის. მაურისიო სარის ბოლო შანსი მანჩესტერ სიტისთან ექნება, რომელსაც ასოციაციის თასის ფინალში დაუპირისპირდება.

თუ მაურისიო სარის სეზონის დასრულებამდე დაითხოვენ, მაშინ, როგორც ვარაუდობენ, ჩელსის ხელმძღვანელობა დროებით მწვრთნელად ჯანფრანკო ძოლას დანიშნავს, რომელიც ჩელსის სამწვრთნელო შტაბში ახლაც მუშაობს.

ამასობაში უკვე ცნობილი გახდა იმ თანხის რაოდენობა, რომელსაც სარი დათხოვნის შემთხვევაში კონპენსაციის სახით მიიღებს. იტალიელ მწვრთნელს 5,7 მილიონ ევროს გადაუხდიან.

# რაკიტიჩი ჩემოდნებს ალაგებს და მილანისკენ იხედება




თითქმის გადაწყვეტილია, რომ ივან რაკიტიჩი ზაფხულში ბარსელონას დატოვებს. ცნობილია, რომ ფეხბურთელთან მოლაპარაკებებს ინტერი აწარმოებს და შეთანხმების მიღწევამდე სულ ცოტაღა დარჩა.

მილანელები მზად არიან, ბარსელონას მის სანაცვლოდ 40 მილიონი ევრო გადაუხადონ. მართალია, ბლაუგრანა 45-ს ითხოვს, თუმცა დიდი ალბათობით გუნდები თანხაზე შეთანხმდებიან და ივანიც კარიერას სან სიროზე გააგრძელებს.

როგორც ხედავთ, ესპანელთა მესვეურები რაკიტიჩის გაშვების წინააღმდეგი არ არიან. მის ადგილას მათ ფრენკ დე იონგი მოჰყავთ, რომელზეც დიდი იმედებს ამყარებენ.

რაც შეეხება რაკიტიჩს, ბარსელონას იგი 2014 წლის ზაფხულში სევილიადან შეუერთდა. ამ დრომდე მან გუნდთან ერთად ლა ლიგა (3), ესპანეთის თასი (4), ესპანეთის სუპერთასი (2), ჩემპიონთა ლიგა, უეფას სუპერთასი და მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატი მოიგო.

# უგოლო დღე

**ლივერპული-ბაიერნი 0:0**

**ლივერპული.** ენფილდი

**ლივერპული:** ალისონი, ალექსანდრ-არნოლდი, მატიპი, ფაბინიო, რობერტსონი, ჰენდერსონი, ვეინალდუმი, კეიტა (მილნერი 76), მანე, ფირმინო (ორიგი 76), სალაჰი

**ბაიერნი:** ნოიერი, კიმიჰი, ზული, ჰუმელსი, ალაბა, მარტინესი, ალკანტარა, გნაბრი (რაფინია 90), ხამესი (სანშეში 88), კომანი (რიბერი 81), ლევანდოვსკი

მატჩის ინტერესი დიდი იყო – ერთმანეთს ხომ ლიგის მოგების ამბიციით სავსე გუნდები ხვდებოდნენ. ვერ გაამართლა, როგორც საჭიროა. ერთია, გუნდებმა ინტრიგა საპასუხო მატჩისთვის დატოვეს.

ლივერპულს ძალიან სურდა საკუთარ სტადიონზე გადაეწყვიტა ბედი, ამიტომაც უფრო უტევდა, მაგრამ ბავარიელთა მწვრთნელი ნიკო კოვაჩი მათ შეტევებს კარგად მომზადებული დახვდა. გერმანელებმა მოედნის ცენტრი გადაკეტეს, ნახევარმცველების გარეშე კი ლივერპულელთა სწრაფი შეტევები გაქრა, ჩაიკარგა. თუმცა, ენფილდელებს მომენტები ჰქონდათ, მაგრამ ხან სიზუსტე არ ჰყოფნიდათ, ხანაც მანუელ ნოიერი ირჯებოდა რიგიანად.

სულ უსაქმოდ არც ბაიერნი ყოფილა. ერთია, რობერტ ლევანდოვსკი მჭიდრო მეურვეობის ქვეშ ჰყავდათ, ხოლო კომანი და გნაბრი ჯერ ვერ არიან რიბერი-რობენის დონის.

ბაიერნმა თავისი მიზანი შეასრულა – არ წააგო სტუმრად, მაგრამ ნულოვანი ფრე არცთუ კარგი შედეგია, რადგან ბურთიანი თანაფარდობა, მიუნხენში ლივერპულელთა წისქვილზე დაასხამს წყალს. ორჯერ ზედიზედ ლივერპულს გოლი არ გაატანინო, ცოტა რთული წარმოსადგენია. ამიტომაც „ალიანს არენაზე“ უფრო საინტერესო მატჩის მოლოდინში უნდა ვიყოთ.

საფინალო სასტვენის შემდეგ გუნდების მწვრთნელებს შორის გაუგებრობა მოხდა. დაკვირვებული გულშემატკივარი შენიშნავდა, რომ საფინალო სასტვენის შემდეგ, კლოპი კოვაჩს დიდხანს უხსნიდა რაღაცას. რა მოხდა? საქმე ისაა, რომ როდესაც კოვაჩთან ხელის ჩამოსართმევად მივიდა, მიუნხენური გრანდის დამრიგებელი შედეგით იმდენად კმაყოფილი იყო, რომ კლოპისთვის ხელის ჩამორთმევა დაავიწყდა, ზურგი აქცია და დიდხანს ალოდინა. ახსნა-განმარტებების შემდეგ, მწვრთნელებმა ერთმანეთს ხელი მაინც ჩამოართვეს და მშვიდობიანად დაემშვიდობნენ.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ხავი მარტინესი**

ბაიერნის მიზანი გითხარით – არ უნდა წაეგოთ. ასეთ სიტუაციებში კი ხავი მარტინესი მნიშვნელოვანი ფიგურაა. ესპანელს არ შეუძლია სხვა ნახევარმცველებივით თამაშის გამწვავება, მაგრამ სადაც საჭიროა ბრძოლა, მეტოქის შეტევების ჩაშლა და საკუთარი საჯარიმოს მისადგომების გადაკეტვა, იქ თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში. ასეც იყო – მარტინესმა ძირითადად განაპირობა მიუნხენელთათვის მისაღები შედეგი.

**იურგენ კლოპი:**

– თავად გავირთულეთ საქმე. უკეთ შეგვიძლია თამაში და უნდა ვითამაშოთ კიდეც. პირველ ტაიმში შედარებით სახიფათო მომენტები გვქონდა. მეორე ტაიმში კი არც ერთ გუნდს მომენტი არ შეუქმნია. ამ თვალსაზრისით ეს ჩემპიონთა ლიგის შეხვედრა არ იყო. შედეგი ნორმალურია, თუმცა საოცნებო არაა. გოლი არ გავუშვით მაშინ, როდესაც დიდი ბიჭი, ვან დეიკი არ გვყავდა. ბევრი ჩვენგან ამას არ მოელოდა. თავს ცუდად არ ვიცავდით. გახარებული არა ვარ, მაგრამ შედეგი მაწყობს. ბაიერნი რომ საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ყოფილიყო, შემოგვიტევდა და ჩვენ იერიშების მოსატანად მეტი საშუალება გვექნებოდა. რა თქმა უნდა, 30 წლის შემდეგ ასეთ თამაშს ვერ გაიხსენებ. რას იზამ, ხდება...



**ნიკო კოვაჩი:**

– ბევრ გუნდს არ ძალუძს, ამ სტადიონზე გოლი არ გაუშვას და არ წააგოს. ჩვენ ეს შევძელით. ლივერპულს ძალიან ცოტა მომენტი შევაქმნევინეთ. ჩემი ფეხბურთელების თამაშით კმაყოფილი ვარ. ამ დონეზე ყველაფერს წვრილმანები წყვეტს. ამიტომ, საპასუხო შეხვედრას უნდა დაველოდოთ. საჭიროა მუხლჩაუხრელი შრომა და ყურადღება. დაცვაში კარგად ვითამაშეთ, მაგრამ გარკვეულ ეპიზოდებში უფრო ეფექტურად შეიძლებოდა გარჯა.

**ლიონი-ბარსელონა 0:0**

**ლიონი.** გრუაპამა

**ლიონი:** ლოპეში, დიუბუა, მარსელო, დენაიერი, მენდი, ნდომბელე (დიოპი 86), აუა, ტრაორე (ტუზარი 71), დეპაი, ტერე (კორნე 78), მ.დემბელე

**ბარსელონა:** ტერ შტეგენი, სემედო, პიკე, ლანგლე, ალბა, ბუსკეტსი, რობერტო (ვიდალი 84), რაკიტიჩი, უ.დემბელე (კოუტინიო 70), მესი, სუარესი

გოლები ვერც ამ მატჩში ვიხილეთ. მოსალოდნელი იყო, რომ ბარსელონას სტუმრად გაუჭირდებოდა. ასეც იყო – ტაიმნახევარი ფრანგები კარგად გამოიყურებოდნენ. ლიონი თავს კარგად იცავდა და მეტოქეს მომენტების შექმნის საშუალებას თითქმის არ აძლევდა. კატალონიელები ხშირად კი ურტყამდნენ მათი კარის მიმართულებით, მაგრამ ამას ძირითადად შორიდან აკეთებდნენ და ბურთიც ჩარჩოში იშვიათად მიდიოდა.

მასპინძლებს აქცენტი კონტრშეტევებზე ჰქონდათ გაკეთებული და საკმაოდ ნორმალურადაც გამოსდიოდათ. განსაკუთრებით, პირველ ტაიმში, როდესაც ლიონს გატანაც შეეძლო.

მეორე ტაიმში ბრუნო ჟენეზიოს გუნდმა მკვეთრად დაიხია უკან და, ფაქტობრივად, ყრუ დაცვაში „ჩაჯდა“. კონტრშეტევებიც დაივიწყეს და მეტი ყურადღება კარის მშრალად შენახვაზე გადაიტანეს.

ცხადია, ბარსელონას ამ დროს მომენტები შეექმნა და ჰქონდა მინიმალური შანსი, რომ შინ გამარჯვებული გაბრუნებულიყო, მაგრამ კარგად მოთამაშე ლოპეშს ვერაფერი მოუხერხეს.

უგოლო ფრე, თუმცა, უდავო ფავორიტად ბარსელონა რჩება...

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ანტონი ლოპეში**

პორტუგალიელმა მეკარემ შესანიშნავი მატჩი ჩაატარა. მართალია, დიდი დროის მანძილზე სამუშაო პრაქტიკულად არ ჰქონია, მაგრამ როდესაც მატჩის ბოლოსკენ ბარსამ მოუმატა, ლოპეშს რამდენიმე ეპიზოდში მოუხდა გუნდის გადარჩენა.

**ბრუნო ჟენეზიო:**

– მეტის მიღწევის იმედი გვქონდა. პირველ ტაიმში რამდენიმე კარგი მომენტი გავაცუდეთ. მეორეში კი მოწინააღმდეგეს ბევრი მომენტის შექმნის საშუალება მივეცით. მიუხედავად ამისა, შემდგომ ეტაპზე გასვლის შანსი კიდევ გვაქვს. ვფიქრობ, ეპიზოდებში ბურთის კონტროლისთვის ოსტატობა არ გვყოფნიდა. განსაკუთრებით შესვენების შემდეგ. დაცვიდან კი ვითამაშეთ, თუმცა მეტოქის არ შეგვშინებია.

**ერნესტო ვალვერდე:**

– უკეთეს შედეგს ველოდით. ცდა არ დაგვიკლია, მაგრამ ვერ მოვიგეთ. სახლში მაგრად ვთამაშობთ, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ 0:0 ძალიან სახიფათო შედეგია. უნდა გავიმარჯვოთ და ჩვენი გულშემატკივრების დახმარება გვჭირდება. ჩემპიონთ ლიგაზე სამი წელია სტუმრად ვერ ვიმარჯვებთ? კარგი მეტოქეები გვყავს. ლიონს ხომ ჯერ არ წაუგია.

# საქართველო საბერძნეთისთვის ემზადება

საქართველოს ეროვნულმა ნაკრები საბერძნეთშია და დღეს ადგილობრივ ნაკრებთან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩს გამართავს.

ილიას ზუროსის გუნდი 2 დღეა კრეტაზე ვარჯიშობს. გუნდს ადგილზე შეუერთდა ამერიკელი თად მაკფადენი. ეროვნული გუნდის ნატურალიზებული კალათბურთელი არაქართულად მოიქცა – კრეტაზე 8.711 კილომეტრი სიშორიდან, ქალაქ დეტროიტიდან ჩამოვიდა და აეროპორტიდან პირდაპირ დარბაზში, სავარჯიშოდ მივიდა.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, მაკფადენი მყისიერად ჩაერთო იმ სათამაშო ტაქტიკაში, რომლითაც ზუროსი ჩვენს გუნდს ავარჯიშებს და მოთელვების შემდეგ, ქართველ კალათბურთელებთან სხვადასხვა კომბინაციის დამუშავებაში მიიღო მონაწილეობა.

როგორც თამაშის წინა დღეებში ხდება, აქცენტი კონკრეტულ კომბინაციებს დაეთმო. ცხადია, ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა და მისმა ბერძენმა ასისტენტმა გიორგიოს ლიმნიატისმა კარგად იციან მეტოქის შესაძლებლობა და მათთან სათამაშოდ შესაბამისი ტაქტიკაც შემუშავებული აქვთ. პირველ დღეს საქართველოს ნაკრებმა ძირითადად ერთ ფარში, შეტევით და დაცვით კომბინაციებზე იმუშავა, თუმცა მეტი ყურადღება, როგორც ყოველთვის, მეორე კომპონენტს დაეთმო. მეორე დღეს კი, გუნდმა სრული დატვირთვით ივარჯიშა და როგორც იტყვიან, მატჩის წინ გენერალური რეპეტიცია გაიარა.

მატჩი დღეს, ირაკლიონში, ადგილობრივი დროით 22:30 საათზე დაიწყება.

**მერაბ ბოქოლიშვილი:**

– მგზავრობის შემდეგ ჯერ ალდგენითი ხასიათის ვარჯიში გვქონდა და დიდი დატვირთვა არ მიგვიღია. თუმცა, არც სრულფასოვნად ვარჯიში დაგვიკლია. სამწუხაროდ, კვლავ გვაქვს დანაკლისი, თუმცა, ამ შესარჩევში გამოჩნდა, რომ ამ შემადგენლობითაც ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეგვიძლია. ახლაც, მიუხედავად იმისა, რომ ვიცით საბერძნეთი საკუთარ კედლებში როგორი ძლიერია, მომავალი მატჩის მოსაგებად ყველაფერს გავაკეთებთ.

**გიორგი შერმადინი:**

– ხანგრძლივი ფრენის შემდეგ ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა. ბიჭებმა იციან თუ რამდენად მნიშვნელოვანია მომავალი თამაში საბერძნეთის ნაკრებთან და ყველანი მაქსიმუმს ვაკეთებთ, რათა მოვემზადოთ, განვიხილოთ და შევისწავლოთ ის კომბინაციები, რასაც მწვრთნელი გვაძლევს. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად იქნება.



*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## მამაკაცმა შვილის წვეულებაში თავი პისტოლეტით დაიჭრა



ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ ჰამბლში მამაკაცმა ქალიშვილის წვეულებაზე გაუფრთხილებლობით გაისროლა და თავი დაიჭრა.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ მოხდა. ოჯახი ქალიშვილის დაბადების დღეს აღნიშნავდა, რომელსაც 16 წელი შეუსრულდა. გოგონას მამამ გადაწყვიტა, სტუმრების გასართობად მათთვის ეჩვენებინა, თუ როგორ ეხერხება იარაღის ფლობა. მან პისტოლეტი თითზე დაიტრიალა და ამ დროს შემთხვევით მუცელში ისროლა.

დაშავებული მამაკაცი დაუყოვნებლივ საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. მისი მდგომარეობის თაობაზე ინფორმაცია არ ვრცელდება.

## სპორტსმენმა ორტონიანი ავტომობილი ადამიანის გადასარჩენად გადასწია



ამერიკის მიჩიგანის შტატის დასახლება იპსილანტიში პაუერლიფტინგის მოყვარულმა მოახერხა ავტომობილი ადგილიდან გადაეწია და მის ქვეშ მოყოლილი ადამიანი გადაერჩინა.

სამუშაო დღის ბოლოს 29 წლის რაიან ბელჩერს მსხვრევის ხმა შემოესმა და იმის გასაგებად, თუ რაში იყო საქმე, ქუჩაში გამოვარდა. მან ავარიის შედეგად გადაბრუნებული ჯიპ ჩეროკი შენიშნა, რომლის ქვეშ ადამიანი იყო მოყოლილი. მისი სხეულის ქვედა ნაწილი მანქანის სალონში იყო დარჩენილი, ხოლო ზედა ნაწილი მანქანასა და საგზაო ნიშანს შორის იყო მოყოლილი.

– როდესაც მივუახლოვდი, იქ უკვე ოთხი ადამიანი დამხვდა, – განაცხადა ბელჩერმა, – ისინი მანქანის გადაწევას ცდილობდნენ, მაგრამ ჩანდა, რომ არაფერი გამოუვიდოდათ.

პაუერლიფტერი მიხვდა, რომ ამ სიტუაციაში მხოლოდ ვარჯიშებზე ნასწავლი ხერხები გამოადგებოდა. მისი მტკიცებით, ის 400 კილოგრამიანი შტანგით ასრულებს ჩაჯდომებს.

ბელჩერმა მანქანის გადაწევა და ადამიანის განთავისუფლება მოახერხა, რომელმაც მართალია სერიოზული ტრავმები მიიღო, მაგრამ ცოცხალი გადარჩა. ასევე საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი ავტომობილის სალონში მყოფი მანდილოსანი. საბედნიეროდ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად არავინ დაღუპულა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ქალმა მშობიარობაზე უარი განაცხადა, ვინაიდან ამტკიცებდა, რომ ქალწული იყო



ჩინელმა ქალმა სამშობიარო კრუნჩხვების დროს უარი განაცხადა მშობიარობაზე, ვინაიდან ამტკიცებდა, რომ მას მამაკაცთან ინტიმური ურთიერთობა არასოდეს ჰქონია.

20 წლის გოგონა, ჩინეთის გუიჩჟოუს პროვინციის ქალაქ გუიანიდან, საავადმყოფოში მუცლის არეში ტკივილებით გადაიყვანეს. ექიმების მონაცემებით, მან საკუთარი ზედმეტი წონის გამო ვერ შენიშნა, რომ ფეხმძიმედ იყო. პაციენტი კატეგორიულად უარს აცხადებდა მშობიარობაზე და მოითხოვდა, რომ მისთვის ექიმებს ქალწულობის ტესტი გაეკეთებინათ.

ფეხმძიმე გოგონა ქირურგებს მშობიარობის მიღებაში ხელს უშლიდა, ამტკიცებდა, რომ ეს ექიმების შეცდომა იყო. მან განაცხადა, რომ ვერ იტანდა მამაკაცებს და არასოდეს ხვდებოდა მათ და, მით უმეტეს, არ ჰქონია სექსი. ერთ-ერთი ექიმის კითხვაზე, შესაძლებელი იყო თუ არა, რომ რომელიმე წვეულებაზე გონების დაკარგვამდე დამთვრალიყო და ამ დროს შემთხვევით დაფეხმძიმებულიყო, ის კატეგორიულად აცხადებდა, რომ ვერ იტანდა ალკოჰოლს.

მიუხედავად პაციენტის წინააღმდეგობისა, ექიმებმა საბოლოოდ მაინც მოახერხეს მისთვის საკეისრო კვეთის გაკეთება, ხოლო მისი ახალშობილი ბავშვი მის მშობლებს გადასცეს, ვინაიდან თავად მან ბავშვის მიღებაზე უარი თქვა.

## მამაკაცს მილიონ დოლარზე მეტი დაუჯდა წონაში ორჯერ დაკლება



უელსის ქალაქ ლექსემის მკვიდრმა ნახევარ წელიწადში ორჯერ დაიკლო წონაში და გადაწყვიტა ფული დააბანდოს სერვისში, რომელიც სხვა ადამიანებსაც დაეხმარება ზედმეტი წონის მოშორებაში.

2016 წლის ოქტომბერში ბენჯამინ ჯეი სმიტი 140 კილოგრამს იწონიდა და ყოველდღიურ საქმეებს დიდი გაჭირვებით ართმევდა თავს.

– ისეთი მსუქანი ვიყავი, რომ წინდების ჩაცმას ან კიბეზე ასვლასაც კი ვერ ვახერხებდი. ეს დამამცირებელი იყო, თავს საშინლად ვგრძნობდი, – აღიარებს 37 წლის მამაკაცი, – კვებაზე დამოკიდებულება განმივითარდა. მიყვარდა ცხიმიანი და კალორიული პიცა და ხშირად ნორმაზე სამჯერ მეტს ვჭამდი.

მის რაციონში შედიოდა ოთხი ტოსტი კარაქით საუზმეზე, სამი ნაჭერი ინდაურის ხორცი, ბუტერბროდები მაიონეზით, შოკოლადის დიდი ფილა სადილზე, ასევე ჩიპსების დიდი შეკვრა და სამი ქილა ენერგეტიკული სასმელი. სამხარზე კი ის უკვეთავდა დიდ პიცას ხორცით, ქათმის 14 ნაჭერს და ერთ ქილა ნაყინს. სმიტმა თავისი ცხოვრების წესს მას შემდეგ გადახედა, როდესაც მისი მეუღლე კარა ცუდად გახდა და სასწრაფოდ ოპერაციის გაკეთება დასჭირდა.

ცოლის ავადმყოფობა იქცა იმის მიზეზად, მამაკაცი იმაზე დაფიქრებულიყო, რომ თავად უნდა ყოფილიყო ჯანმრთელი, რათა ახლობლებზე ეზრუნა. მაშინ სმიტმა გადაწყვიტა, რომ საკვებს მხოლოდ მაშინ მიიღებდა, როდესაც მოშივდებოდა. მან დაიწყო ვარჯიში. დაწვრილებით შეისწავლა სწორი კვების წესები. ექვს თვეში მამაკაცმა წონაში 63 კილოგრამი დაიკლო.

საკუთარმა წარმატებამ სმიტს იმისკენ უბიძგა, რომ იმ ადამიანებს, რომლებსაც ზედმეტი წონა აწუხებდათ, საკუთარი თავის ფორმაში მოყვანაში დახმარებოდა. 2017 წელს მან 1,3 მილიონი დოლარი დახარჯა სპეციალური პროგრამის შემუშავებაზე, რომელიც მოხმარებული კალორიების გაკონტროლებაში დაეხმარება ადამიანებს.

## კიბოთი დაავადებულ ქალს ენა ამოკვეთეს და შემდეგ აღუდგინეს



დიდი ბრიტანეთის მკვიდრს ენა მასში წარმოქმნილი სიმსივნის გამო ამოკვეთეს, შემდეგ კი აღუდგინეს.

ინგლისის ბედფორდშირის საგრაფოს ქალაქ კლეპჰემის მკვიდრმა ჯოანა სმიტმა ექიმს 2018 წლის ოქტომბერში მიმართა, პირის ღრუში გაჩენილი წყლულის გამო. მკურნალმა ექიმმა მას სპეციალური გელი გამოუწერა და სახლში გაუშვა, თუმცა, ანთების სწრაფად განვითარების გამო, მალევე ბიოფსია დაუნიშნა.

ჩატარებულმა გამოკვლევამ 58 წლის ბრიტანელს ენის კიბო დაუდგინა. ექიმებმა მას განუცხადეს, რომ სასწრაფოდ ოპერაცია უნდა გაეკეთებინა, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში მას ექვსი-რვა თვის სიცოცხლე თუ ექნებოდა დარჩენილი.

მიმდინარე წლის იანვარში ქალს პრაქტიკულად მთელი ენა ამოკვეთეს. მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი დატოვეს, შემდგომში ამ ორგანოს აღსადგენად. ექიმებს ქალისთვის ასევე ჯირკვლების და კბილების დიდი ნაწილის ამოღებაც მოუწიათ. რთულ ოპერაციაში, რომელიც 15 საათს გრძელდებოდა, 29 სპეციალისტი იღებდა მონაწილეობას.

თავდაპირველად ექიმებმა ქალის მარჯვენა ფეხის კანი, კუნთი და ვენა გამოიყენეს ენის აღსადგენად, მაგრამ პროცედურის დროს ტრანსპლანტანტის ქსოვილები დაზიანდა. ამის შემდეგ, სანამ სმიტი ნარკოზის ქვეშ იმყოფებოდა, ექიმებმა მის ოჯახს მიმართეს, რათა მათ ოფიციალური თანხმობა მიეცათ ენის აღდგენის კიდევ ერთი ოპერაციის ჩატარებაზე. მომდევნო ხუთი საათის განმავლობაში ექიმებმა ქალის მარცხენა ხელის კუნთის, კანის და ვენისგან წარმატებით შექმნეს ენა.

წარმატებით ჩატარებული მკურნალობის შედეგად სმიტი კიბოსგან განთავისუფლდა. ის თავისუფლად ახერხებს ლაპარაკს და ნებისმიერი საკვების და სასმელის მიღებას. ახლა ექიმები ელოდებიან, თუ როდის აღიდგენს ბოლომდე ჯანმრთელობას სმიტი, რათა ამოღებული კბილებიც აღუდგინონ.

## ასტროპროგნოზი

### 21 თებერვლისთვის



**ვერძი** – თავი ხელში აიყვანეთ და უარყოფითი ემოციები მოთოკეთ. წარსული წყენა სამუდამოდ დაივიწყეთ. **კურო** – შემოქმედებითი აქტივობა იზრდება. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. **ტყუპები** – დღის დევიზია შრომისმოყვარეობა და კეთილსინდისიერება. ფინანსური მდგომარეობა მკვეთრად გიუმჯობესდებათ. **კირჩხიბი** – დათრგუნეთ სიამაყე და ეგოიზმი. ეცადეთ, თავი სხვის ადგილას დააყენოთ. ასე სწორი გადაწყვეტილების მიღება არ გაგიჭირდებათ. **ლომი** – საყიდლებზე წასვლას ნუ იჩქარებთ. აპათია გიპყრობთ, ამიტომ მაქსიმალურად დაკავდით საქმით. **ქალწული** – შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად იზრდება. ენერგეტიკული აღმავლობის დღეა. სასიამოვნო ახალ ამბავს შეიტყობთ. **სასწორი** – რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საქმე მოთმინებით აკეთეთ. **ღრიანკალი** – დღევანდელი დღე საოჯახო საქმეების მოწესრიგებას დაუთმეთ. გათავისუფლდით უსარგებლო ნივთებისაგან. ეს ადამიანურ ურთიერთობებსაც ეხება. **მშვილდოსანი** – ნუ იქნებით კატეგორიული. მეტი თავშეკავება, სირბილე და დათმობაა საჭირო. **თხის რქა** – ეს დღე საინტერესო ნაცნობობას გიმზადებთ. იზრუნეთ საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფაზე. **მერწყული** – ვარსკვლავები გმფარველობენ. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. მშვიდი დღეა. **თევზები** – კოლეგებთან ურთიერთობა გეძაბებათ. ერიდეთ კონფლიქტსა და საქმის გარჩევებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მუსლიმანთა სასულიერო მოსამართლე; 2. იაპონიის პრემიერ-მინისტრი; 3. სამლებრო ძველ თბილისში; 4. პატარა მდინარე; 5. თბილისელი სახალხო მკურნალი, დასტაქარი; 6. ემილ ზოლას რომანი; 7. ტბა ჯავახეთში; 10. პოპულარული არომატული, მატონიზირებელი სასმელი; 11. სახელმწიფო ევროპაში; 12. მონასტერი რაჭაში; 13. ცხვრის ხორცისგან მომზადებული აზერბაიჯანული წვნიანი კერძი; 16. მტკვრის მარცხენა შენაკადი საქართველოში; 18. ზღვისპირა ბალნეოლოგიური კურორტი ოდესის მახლობლად; 19. ცხარე საწებელი; 21. რეგულარული შემოსავალი უძრავი ქონებიდან; 24. ღვინის დანალექი.

**თარაზულად:** 1. უძველესი, ხალხური, სანახაობითი თამაში-წარმოდგენა ძველად საქართველოში; 3. სხივურ-კვანტური გენერატორი; 8. ყაზახეთის დედაქალაქი; 9. ჩაის ბუჩქის ნორჩი ყლორტი; 14. დადგენილი, წილი, ნორმა; 15. კომბინაცია პრეფერანსში; 17. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 20. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 22. ეთერზეთოვანი სურნელოვანი ყვავილი; 23. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს მიღებული ათდღიანი კვირა; 25. კედელზე საკიდი ელექტროსანათი მოწყობილობა; 26. ოპერა „კარმენის" კომპოზიტორი; 27. ქალაქის ტიპის დასახლებული პუნქტი; 28. მთავარი მოედანი მუსლიმანური ქვეყნების ქალაქებში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. რეფორმა; 2. ტრანზიტი; 3. აზურიტი; 5. კომბაინი; 7. ოგინსკი; 9. მილენიუმი; 13. სინდიყი; 15. დეფილე; 16. ფრესკო; 18. ხაიფა.

**თარაზულად:** 4. ბედეკერი; 5. შარტრეზი; 8. პოტამოლოგია; 10. ხანჩალი; 11. ლოტი; 12. აკორდი; 14. ოდიში; 17. მენჯი; 19. იფქლი; 20. ესპანური; 21. იენი; 22. პერგამონი; 23. ჰამსუნი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ლუტი; 2. არა; 3. კავასაკი; 4. კუ; 5. საზამთრო; 6. ლელო; 7. შავთელი; 10. ფსოუ; 11. შოტლანდია; 12. ბალაგანი; 13. ყური; 16. ხოხობი; 18. ჰოკაიდო; 19. გროზნო; 21. თერგი; 24. ლახტი.

**თარაზულად:** 1. ლატავრა; 3. კოდაკი; 8. საბენა; 9. ტუფი; 14. ნოკია; 15. მულამი; 17. ლიმა; 20. კვართი; 22. რიონი; 23. რიგელი; 25. ურო; 26. ოქრო; 27. საბა; 28. ხაბიზგინა.

## მყრალი „ნასკების“ გამო, რუსეთში შესაძლოა, ჯარიმა შემოიღონ



მგზავრების მიერ ჰიგიენის წესების უგულვებელყოფა შესაძლოა სარკინიგზო ტრანსპორტში კონფლიქტების მიზეზი გახდეს. ამის შესახებ მედიასთან რუსეთის დუმის ტრანსპორტისა და მშენებლობის კომიტეტის წევრმა ალექსანდრ ვასილიევმა ისაუბრა. მისი თქმით, „მგზავრების ჭუჭყიანი წინდები“ აწუხებს ყველას, ვინც ე.წ პლაცკარტით მგზავრობს და დისკომფორტს იწვევს:

– სხვა ქვეყნებში ჯარიმა არის დაწესებული, ჩვენთან კი ეს ვერ მოვახერხეთ, მაგალითად, ის რომ ადამიანს დაავალდებულო, არ მოწიოს გასასვლელში, არ იყოს არაფხიზელ მდგომაეობაში და სხვები არ შეაწუხოს თავისი არაჰიგიენურობით, – განაცხადა დეპუტატმა. მისი თქმით, რუსეთის ტრანსპორტის ზედამხედველობის სამსახურს უფლება უნდა მიეცეს, შესაბამისი შემოწმებები ჩაატაროს.

## „პარტიზანმა მებაღეებმა“ მერიასთან „გვამები“ მიიტანეს



„პარტიზანმა მებაღეებმა“ და გარემოს დამცველმა აქტივისტებმა აქცია-პერფორმანსი გამართეს. ისინი ქალაქში მიმდინარე მშენებლობებსა და ხეების გაჩეხვას აპროტესტებდნენ.

აქციის მონაწილეებმა პროტესტი ჭოველიძის ქუჩიდან დაიწყეს, სადაც მაღალსართულიანი კორპუსი შენდება და „გვამების“ ბუტაფორიები ქალაქის სხვადასხვა ტერიტორიაზე მიიტანეს. პერფორმანსი თბილისის მერიასთან დასრულდა.

**რუსთავი 2**

## ბათუმის საერთაშორისო ჰოსპიტალიდან პაციენტი დაიკარგა



ბათუმის საერთაშორისო ჰოსპიტალიდან პაციენტი დაიკარგა – ამის შესახებ „TV 25“-ს ახლობლებმა აცნობეს. 78 წლის კაცი დაწესებულებაში 19 თებერვალს გვიან ღამით, გულის უკმარისობით მოათავსეს, რომელიც ჟანგბადზე იყო მიერთებული. ხანდაზმული სამედიცინო დაწესებულების პალატიდან 20 თებერვალს, დილით ისე გავიდა, რომ ამის შესახებ პერსონალს და დაცვის სამსახურს არაფერი გაუგია.

როგორც ახლობლები აცხადებენ, დაკარგულ პაციენტს ახლა ბათუმის ქუჩებში უშედეგოდ ეძებენ.

ბათუმის საერთაშორისო სამედიცინო ჰოსპიტალის პრესცენტრმა ფაქტის შესახებ ჩვენგან შეიტყო. აქ გვითხრეს, რომ მომხდარს შეისწავლიან და სათანადო რეაგირება მოხდება.

### კალეიდოსკოპი

## სოფელში შეჭრილმა ლეოპარდმა ექვსი ადამიანი დააშავა



ინდოეთის ანდხრა-პრადეშის შტატში დაიჭირეს ლეოპარდი, რომელმაც ექვსი ადამიანი დააშავა. ეს შემთხვევა ერთ-ერთმა თვითმხილველმა ვიდეოზე გადაიღო.

მტაცებელი სოფელ ანკამპალემში რამდენიმე დღის წინ გამოჩნდა და ოთხ ადამიანს დაესხა თავს. მეტყევეებმა ცხოველს ხაფანგები დაუგეს, მაგრამ მან მათგან თავის დაღწევა მოახერხა.

რამდენიმე დღის შემდეგ მტაცებელი სოფელ ბალუსულანკაში შეიჭრა და ორ ადამიანს დაესხა თავს. ადგილობრივებმა ლეოპარდის ცარიელ ქოხში შეგდება და მისთვის გარედან კარის გადაკეტვა მოახერხეს. მის მახლობლად თავი მოიყარეს მეტყევეებმა, ვეტერინარებმა, პოლიციელებმა და საგადასახადო სამსახურის თანამშრომლებმა. მათ რამდენიმე საათი დასჭირდათ იმისთვის, რომ ბოლოს და ბოლოს დაუძლურებული ცხოველი დაეჭირათ.

ლეოპარდს სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს და ქალაქ ვიშაკხაპატნამში გადაიყვანეს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე იქნება დამოკიდებული, ადგილობრივ ზოოპარკში დატოვებენ თუ ბუნებაში დააბრუნებენ.

## ქალმა ქორს ლეკვი გამოსტაცა



ამერიკის ნევადას შტატის ქალაქ ლასვეგასში ქორი საკუთარი სახლის ეზოში შეფრინდა და თავს დაესხა ლეკვს. მისი გადარჩენა სახლის დიასახლისმა მოახერხა.

სათვალთვალო ვიდეოკამერის მიერ გადაღებული შემთხვევა რამდენიმე დღის წინ მოხდა. სახლის პატრონმა სესილია სელისმა თავისი ერთი წლის იორკშირის ტერიერი, სახელად ლულუ, სახლის უკანა ეზოში გაუშვა სასეირნოდ.

– ის (ქორი) გარკვეულ დროს იცდიდა, ვიდრე მას თავს დაესხმოდა, – განაცხადა სელისმა, – შემდეგ ის ლეკვს თავს დააცხრა და ზევიდან მოქცეული, თითქოსდა გუდავდა.

საყვარელი ცხოველის ბედის გამო შეშინებული ქალი სახლიდან გამოვარდა ყვირილით: „მოშორდი ჩემ ძაღლს! მოშორდი ჩემ ძაღლს!“ თუმცა ქორი მის ყვირილს არაფრად აგდებდა. მაშინ ქალმა ხელი სტაცა ბალიშს, ვინაიდან იფიქრა, რომ რბილი საგანი არავის მიაყენებდა ზიანს და ფრინველს დაუშინა, სანამ ამ უკანასკნელმა ლეკვს კლანჭები არ გაუშვა.

ქორი აფრინდა, თუმცა შორიახლოს ხეზე შემოჯდა. ოჯახის წევრებმა მტაცებელ ფრინველს სურათები გადაუღეს, ვინაიდან იფიქრეს, რომ ის შესაძლოა ვინმეს ჰყავდა მოშინაურებული და გამოექცა. ისინი დაუკავშირდნენ რამდენიმე ადამიანს, რომლებსაც ქორის დაკარგვის თაობაზე განცხადება ჰქონდათ გამოქვეყნებული, თუმცა ვერც ერთმა მათგანმა მასში თავისი ფრინველი ვერ ამოიცნო.

ლეკვ ლულუს ამ ინციდენტის შედეგად სერიოზული დაზიანებები არ მიუღია, კისრის არეში მსუბუქი ნაკაწრებით გადარჩა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე საქართველო ქართული სიმღერით წარდგება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ევროვიზიის სიმღერის კონკურსისთვის სიმღერების შესარჩევი კონკურსი საზოგადოებრივ მაუწყებელზე დასრულებულია. კომპოზიციის შესარჩევად კონკურსი 21 დეკემბერს გამოცხადდა და პირველ თებერვალს დასრულდა.

კონკურსის შედეგად 200-ზე მეტი სიმღერა შემოვიდა. სიმღერები წარმოადგინეს როგორც ქართველმა, ასევე უცხოელმა კომპოზიტორებმა.

სიმღერის შერჩევის პროცესი სამი ტურისგან შედგება. პირველი ტურის შედეგად შეირჩა 50 სიმღერა, მეორე ტურის შემდეგ კი 12, მათგან საუკეთესოს კი კომპეტენტური ჟიური გამოავლენს.

შერჩევის პროცესში ჟიურისთვის უცნობი იქნება ნაწარმოების ავტორების ვინაობა. ისინი კომპოზიციებს 10-ქულიანი სისტემით შეაფასებენ.

კონკურსში გამარჯვებულ სიმღერებს პროექტის „საქართველოს ვარსკვლავი“ ფინალისტები დასკვნით ტურზე შეასრულებენ.

„საქართველოს ვარსკვლავის“ ხელმძღვანელების გადაწყვეტილებით, ფინალურ ტურში მაყურებელი გამარჯვებულთან ერთად საქართველოს საკონკურსო სიმღერასაც აირჩევს.

## გია ჯაჯანიძე: „დღეიდან ყველაზე საშიში დღეა ცილისმწამებლებისთვის“



ფსიქოლოგი და ტელეწამყვანი გია ჯაჯანიძე ირწმუნება, რომ სავსე მთვარეობიდან ყველაზე საშიში დღეა ცილისმწამებლებისთვის:

– დღეიდან ყველაზე საშიში დღეა ცილისმწამებლებისთვის, შურიანებისთვის, ბოროტებისთვის და თვალთმაქცებისთვის.

შეხედე სავსე მთვარეს, აღაპყარ ხელი მთვარისკენ და გულში თქვი:

მომეცი ძალა, რომ არ შემშურდეს.

მომეცი ძალა, ცილი არ დავწამო.

მომეცი ძალა სიმშვიდისა, ბედნიერებისა, წარმატებისა და გამარჯვებისა.

## „ვარსკვლავების ომი“ – „რუსთავი 2“-ზე ახალი მუსიკალური შოუ იწყება

მას შემდეგ, რაც გიორგი ხაბურზანიამ და დემნა ჯაფარიძემ „რუსთავი 2“ დატოვეს, ტელეკომპანია მუსიკალური და გასართობი შოუების გარეშე დარჩა, თუმცა მისმა ხელმძღვანელობამ მაყურებელს სულ მალე შესთავაზა ქართული მუსიკალური პროექტი „მხოლოდ ქართული“, რომლის პირველმა სეზონმა ნამდვილად დიდი პოპულარობა მოიპოვა.

რაც შეეხება უცხოურ პროექტებს, „რუსთავი 2“-ის ეთერში უცხოური მუსიკალური შოუები არ იყო და მისი გამოჩენა ტელეკომპანიის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ დააანონსა:

– მაშ ასე, გინდოდათ „მხოლოდ უცხოური“ – აჰა, მიიღეთ! „ვარსკვლავების ომი“ „რუსთავი 2“-ზე. გელოდებით კასტინგზე!

ახალი მუსიკალური შოუ „რუსთავი 2“-ზე იმ მომღერლებისთვის გაიმართება, რომლებიც ქართულადაც მღერიან და უცხოურ სიმღერებსაც ასრულებენ.

პროექტში მონაწილეობის მსურველი კონკურსანტებისთვის პირველი შესარჩევი ტური ტელეკომპანიის შენობაში 9 მარტს გაიმართება.

## მაია დარსმელიძე საქართველოს ბიძოს ბუტკას უწოდებს



მომღერალი მაია დარსმელიძე საქართველოს ქვეყნად აღარ მიიჩნევს და მას ბიძოს ბუტკას უწოდებს:

– ქვეყნისგანაც აღარაფერი დარჩა – კანტორაა, ბიძოს ბუტკაა. სწორედ ასეთი ბანძი ქვეყანა უნდოდა უფასო ფულის ხამ შემომხაზველსაც და უნიჭო შემოქმედებსაც, რომლებიც მხოლოდ ამ პირობებში გრძნობენ თავს პრიმებად.



## ნატო გელაშვილმა გიო ხუციშვილს სიმღერა მიუძღვნა

„იყო... არა იყო რა“ – ასე ეწოდება მომღერლისა და კომპოზიტორის ნატო გელაშვილის ახალ სიმღერას, რომელიც მან გიო ხუციშვილს მიუძღვნა. სიმღერა მომღერალმა ინტერნეტში გაავრცელა და როგორც მოსალოდნელი იყო, ბევრი მოწონება, გაზიარება და დადებითი კომენტარი დაიმსახურა.

– ერთი ამოსუნთქვით შეიქმნა და სპონტანურად ჩავწერე, ისე უბრალოდ, მთელი გულითა და არსებით... ისეთი, როგორიც იყო ხუცოსთან ურთიერთობა. მომაწვა და ამოვთქვი... 23 თებერვალს ხო ჩემი ხუცოს დაბადების დღეა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**


## ქალბატონი ეთერის დიდი სამადლობელი

**მოსკოვიდან:**

– ქალბატონო ეთერ, რა მადლობა გეყოფათ, რომ მე გითხრათ ჩემი მორჩენისთვის. ვცხოვრობდი მოსკოვში და აღმომაჩნდა ურთულესი დაავადება ლიმფოგრამუტოლოზი. ბევრი ვიმკურნალე, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს მივაკითხე ეთერს და მომცა წამალი, რომელმაც განმიკურნა ეს ვერაგი დაავადება, რასაც არ მოველოდი. ქალბატონ ეთერს ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს.

**საბერძნეთიდან:**

– მქონდა მკერდზე სიმსივნე. არ გავიკეთე ქიმიის კურსი და ვიხმარე თქვენი მალამო. რამდენიმე თვის შემდეგ სულ გამიქრა. რა მოხდება, რომ ჩვენთან ჩამოგიყვანოთ ცოტა ხნით. აქ მთელი ხალხი გელით. თქვენ ისეთ დაავადებებს არჩენთ, რომლებსაც მედიცინა ვერ უმკლავდება. თქვენი ბუნებრივი წამალი ხომ მამა-პაპისგან გაქვთ გადმოცემული. იგი ძალიან ბევრ დაავადებას კურნავს. აქ ველარ ჩამოვთვლი ყველას. ყოჩაღ, საქართველოს, რომ ასეთი ადამიანი გყავთ.

**ექიმი-თერაპევტი თბილისიდან:**

– ძალიან მაწუხებდა დისკოზი, უკვე სიარულს მიშლიდა ტკივილები. ვიმკურნალე ქიმიური წამლებით, მაგრამ უშედეგო აღმოჩნდა. მომარჩინა ეთერის წამალმა, აგრეთვე მქონდა მარილები ხერხემალში და მუხლის მიდამოში. ამისგანაც გავთავისუფლდი. ძალიან მადლობელი ვარ ქალბატონი ეთერის ბუნებრივი წამლების.

**თბილისიდან, აკაკი ხულავა, მეცნიერ-მუშაკი:**

– მაწუხებდა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული. თირკმლებში მქონდა კისტა. ხალხო, დამიჯერეთ, სულ გავთავისუფლდი დაავადებებისგან. ეს ღმერთმა გამოგვიგზავნა და კიდევ არ ვიცით მისი ყადრი. იცოცხლეთ ძალიან დიდხანს. თქვენ ყველას გვჭირდებით. არ წახვიდეთ საზღვარგარეთ, აქაც ბევრი გყავთ მოსარჩენი.

**მისი ტელეფონებია: 599-96-44-63; 269-17-37 ეთერ კიკვილაშვილი.**

**მიაკითხეთ, არ ინანებთ. გაგონილს ნანახი სჯობია.**

**ყველა მორჩებით, ვინც მის წამალს დალევთ.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

21 თებერვლისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.6498

ევრო — 2.9977

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4246

100 რუსული რუბლი — 4.0023

**ამინდის პროგნოზი 21 თებერვლისთვის**








22 თებერვლიდან
ოტია იოსელიანი
ქალი გამოვიდა სალალატოდ
ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

„ახალი თაობა“
წარმოგიდგენთ სერიას
„მე მიყვარს კითხვა“

19 თებერვლიდან
ჯონატან სვიფტი
გულივერის მოგზაურობა




ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

12 თებერვლიდან
სულხან საბა ორბელიანი
სიბრძნე სიცრუისა




ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

„ახალი თაობა“
წარმოგიდგენთ სერიას
მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

15 თებერვლიდან
გუსტავ ფლობერი
მადამ ბოვარი




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი


## იუმორი

მალაზიაში მამაკაცი გამყიდველ გოგონას ეკითხება:

– უკაცრავად და ტრუსები გაქვთ?

– არა.

– და გაყიდვაში?

•••

რაიონის ცენტრში გაიხსნა ევროპული სოლარიუმი. ფასები:

– გარუჯვა 10 ლარი.

– ნამეტანი გარუჯვა 15 ლარი.

– გოჭის შეწვა 5 ლარი.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ბიჭო, სიდედრს დაბადების დღეზე მანქანა მინდა ვაჩუქო და რომელს მირჩევ?

– „უტორმუზო“ აჩუქე, მერე დამლოცავ, იცოდე.

•••

ორი მოხუცი ზის და წარსულს იხსენებს. ერთი მეორეს ეუბნება:

– გახსოვს, ომში წამალს რომ გვაძლევდნენ ქალი, რომ არ მოგვდომებოდა?

– ჰო, მახსოვს... უკვე დაიწყო მოქმედება!

•••

ნასვამმა მძღოლმა მოსახვევში მანქანის საჭე ვერ დაიმორჩილა და გლეხის სახლში შევარდა. გაოგნებულ მასპინძელს მძღოლი ეკითხება:

– ბიძია, თბილისამდე როგორ მივიდე?

– როგორ ბიძია და ასე გადახვალ მოკლეზე, „ჩერეზ კუხნით“...

•••

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რატომ ხარ ასე უხასიათოდ?

– ბიჭი შემეძინა...

– მერე, მაგისთვის ხარ უხასიათოდ... და რა დაარქვით?

– ლუდოვიკო...

– რატომ?

– იმიტომ, რომ მეთოთხმეტეა!

•••

მოსამართლე გაუპატიურებაში ბრალდებულს ეკითხება:

– თქვენ მასზე ძალა იხმარეთ?

– არანაირი ძალდატანება არ ჰქონია ადგილი, ეს ყველაფერი ექსტაზში მოხდა.

– რა ექსტაზში, არ დაუჯეროთ ბატონო მოსამართლევ. ზუსტად მახსოვს, რომ სარდაფში მოხდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე საქართველო ქართული სიმღერით წარდგება




– ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე საქართველო ქართული სიმღერით წარდგება, ამის შესახებ პროექტ „საქართველოს ვარსკვლავის“ ჟიურის წევრმა და პირველი არხის გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ, თინათინ ბერძენიშვილმა განაცხადა.

– დიდების ევროვიზია ცდილობს, მშობლიურ ენაზე დაწერილი რაც შეიძლება მეტი სიმღერა გაჟღერდეს კონკურსზე. სწორედ ამიტომ, შემიძლია გითხრათ, რომ საქართველო მიმდინარე წლის კონკურსზე ქართული სიმღერით წარდგება ევროპელი მაყურებლის წინაშე, – განუცხადა ჟურნალისტებს თინათინ ბერძენიშვილმა.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## ნიკო კოვაჩი: „ლივერპულთან ფრე კარგი შედეგია“



ბაიერნის მთავარმა მწვრთნელმა ნიკო კოვაჩმა განაცხადა, რომ მისი გუნდისთვის სტუმრად ლივერპულთან ფრე კარგი შედეგია და ძალიან ცოტა გუნდი დაიტრაბახებს იმით, რომ ლივერპულთან სტუმრად გოლი არ გაუშვა.

– მე არ ვარ ის ადამიანი, ვისაც ნულოვანი ფრე უხარია, მაგრამ ჩვენ შევძელით გოლის არგაშვება, რაც ლივერპულთან ძალიან კარგი შედეგია. ყველაფერი მიუნხენში გადაწყდება და საკუთარ მოედანზე უნდა შევუტიოთ. ლივერპულის დამარცხება შეგვიძლია, – განაცხადა კოვაჩმა.

გუნდებს შორის განმეორებითი შეხვედრა 13 მარტს გაიმართება.

## მარსელომ შესაძლოა რეალი დატოვოს



მადრიდის რეალის ბრაზილიელმა მცველმა მარსელომ შესაძლოა ზაფხულში რეალი დატოვოს. მარსელოს არცთუ კარგი ურთიერთობა აქვს რეალის მწვრთნელთან სანტიაგო სოლარისთან და ბოლო პერიოდში ის საკმაოდ ხშირად ვერ ხვდება რეალის ძირითად შემადგენლობაში.

თუ ზაფხულამდე სიტუაცია არ შეიცვალა, მაშინ მარსელო, სავარაუდოდ, რეალს დატოვებს და იუვენტუსში გადავა, სადაც მისი მეგობარი კრიშტიანო რონალდო თამაშობს.

ჭორები მარსელოს იუვენტუსში გადასვლაზე ადრეც ვრცელდებოდა, თუმცა მაშინ მარსელომ ყველაფერი უარყო.

## ნეიმარი: „ტრავმამ ძალიან დამთრგუნა“



პსჟ-ს ვარსკვლავმა ნეიმარმა თავის ტრავმაზე ისაუბრა და თქვა, რომ მისთვის ძალიან რთული იყო იმ ფაქტთან შეგუება, რომ ის პსჟ-ს მნიშვნელოვან შეხვედრებში ვერ დაეხმარებოდა.

ნეიმარის თქმით, ის რამდენიმე დღე ფსიქოლოგიურად თავს ცუდად გრძნობდა:

– სახლში ვიყავი და არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. ტრავმამ ძალიან დამთრგუნა, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ ეს დასასრული არ არის და ისევ შევძლებ მოედანზე გამოსვლას.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ქალმა ლატარიაში ძმის და მეგობრის შემდეგ მოიგო




ამერიკის მონტანას შტატის ქალაქ გრეიტფოლსის მცხოვრებმა ქალმა, მისმა ძმამ და მეგობარმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოიგეს ლატარიაში მსხვილი თანხა.

ჯოდი ჰენდერსონი თავის ოჯახში ლატარიის ბოლო გამარჯვებული გახდა. ქალმა რამდენიმე დღის წინ 9262 დოლარი მოიგო. მან ეს თანხა ვალენტინობის აღსანიშნავად და სხვადასხვა გადასახადების დასაფარავად გამოიყენა.

ქალი ამტკიცებს, რომ ლატარიით მას შემდეგ დაინტერესდა, როდესაც მისი ახლობლები ჯეკპოტს ერთი მეორის მიყოლებით იგებდნენ. მის ძმის მოგებამ 18 ათასი დოლარი შეადგინა, ხოლო მის მეგობარს ლატარიაში გამარჯვების შემდეგ, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, წელიწადში 25 ათას დოლარს გადაუხდიან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ქართული ხალხური ქალვაჟის ცეკვა; 2. ქალაქი მესხეთში; 3. იტალიური ლიქიორი; 5. მეცნიერება სიცოცხლისა და ცოცხალი ორგანიზმების განვითარების კანონზომიერების შესახებ; 7. სახელმწიფო ევროპაში; 9. ცოდვათა მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 13. საფრანგეთის პრეზიდენტი; 15. ვულკანიდან მაგმის ამოფრქვევის პროცესი; 16. ქართველი კომიკოსი; 18. ჯუზეპე ვერდის ოპერა.

**თარაზულად:** 4. მოკლელულიანი შაშხანა; 6. ათქვეფილი კვერცხით, ფქვილით, ძმრით მომზადებული ქათმის წვნიანი კერძი; 8. თანდაყოლილი ჭკუასუსტობა; 10. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 11. ჩოგბურთის პარტიის ნაწილი; 12. დედამიწის თანამგზავრი; 14. სამხედრო იარაღის მწარმოებელი ქართული ფირმა; 17. აღმოსავლური ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 19. საქართველოში მზარდი ტროპიკული ხე, რომლისგანაც ამზადებენ მაღალხარისხოვან ტექნიკურ ზეთს; 20. ბერიკაობის ერთ-ერთი პერსონაჟი, დევის ნიღაბი; 21. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი; 22. აჭარული ცეკვა; 23. გერმანული ლუდი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**